ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 24 ივლისი, 2017 №173 (7408) ფასი: 50 თეთრი



## ირაკლი სესიაშვილი: „რუსეთი საერთაშორისო სამართლის წესრიგიდან გამოსულია“

„მთავარია, პროვოკაციას არ წავმოვეგოთ“

გვ.3

20 ივლისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# ბოკერიას მომხრეებს ალმაშენებელზე ბოთლები, ცოცხები და კვერცხები დაუშინეს



აქციაზე დაპირისპირებისას 1 ქალი დაშავდა გვ.2



ელენე ხოშტარია: „საქართველოში ფაშიზმი ვერ გაიმარჯვებს“



## ალიძვრება თუ არა საქმე მეუფე პეტრეს წინააღმდეგ



მიხეილ რამიშვილი: „არაფერი არ არის გამორიცხული“ გვ.4



## „ყარამანიშვილმა მითხრა, რუსთავი 2-ში ისევ ყველაფერი არეულიაო“ გვ.3



მამუკა გამყრელიძე: „ნიკა გვარამია უნდა გაერკვეს, რა უნდა“





## ვანო ზოდელავა ქვემო ფონიჭალასთან ავტოავარიაში მოყვა გვ.3

„რატომ და როდემდე უნდა იყოს დაშვებული ამ ქვეყანაში მარჯვენასაჭიანი მანქანების მოძრაობა?!....“



ვახტანგ ძაბირაძე: „საარჩევნო ბარიერი ბონუსების გარეშე 3%-მდე დასწიონ და ყველაფერი კარგად იქნება“ გვ.5

## „საპარლამენტო რესპუბლიკა კოალიციურ მთავრობას გულისხმობს“

## სუს-მა აკაკი წერეთელი, ზაზა ზაზაშვილი და გიორგი ნარიმანიძე დააკავა გვ.7




## ნატოს მანევრებში საქართველოს მონაწილეობს



რა რისკებს ელიან რუსეთიდან უახლოეს მომავალში გვ.5

ISSN 1987-9385

# ბოკერიას მომხრეებს აღმაშენებელზე ბოთლები, ცოცხები და კვერცხები დაუშინეს

შორენა მარსაგიშვილი

**გუშინ, 23 ივლისს, მთელი საქართველოს ყურადღება აღმაშენებლის გამზირისკენ იყო მიმართული, სადაც 2 აქცია იყო დაანონსებული. 14 ივლისს გამართული ქართული მარშის შემდეგ ნაციონალების განაყოფმა – „ევროპულმა საქართველომ“ ეს ამბავი ფაშიზმის გამოვლინებად მონათლა და მის წინააღმდეგ ახალი მარში დააანონსა. მათმა განცხადებამ ქართული მარშის ორგანიზატორები აღაშფოთა. მათ ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ განაცხადეს, რომ სისხლიანი რეჟიმის შემქმნელებს აღმაშენებელზე გავლის უფლებას არ მისცემდნენ.**



## აქციაზე დაპირისპირებისას 1 ქალი დაშავდა



## ელენე ხოშტარია: „საქართველოში ფაშიზმი ვერ გაიმარჯვებს“





ამის საპასუხოდ გიგა ბოკერიას თანამეცხედრე თამარ ჩერგოლეიშვილმა მარშელებს მიმართა და დაუბარა, აბა ერთი ჩვენი შეჩერება გაბედეთო.

„ევროპული საქართველოს“ წევრების დასახვედრად ქართული მარშის ორგანიზატორებმა რკინიგზელთა სახლის მიმდებარე ტერიტორია შეარჩიეს. რამდენიმე დღის წინ ისინი „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებდნენ, რომ იქ ცოცხალ კედელს აღმართავდნენ და სისხლიანებს არ გაატარებდნენ.

მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით დედაქალაქის მერიამ ქართული მარშის წევრებს აქციის გამართვაზე ნებართვა გაუუქმა. ნარმანიამ მათ სთხოვა, რომ ღონისძიება სხვა დღისთვის გადაეტანათ.



ამაზე მარშელებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. 22 ივლისს მარშის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა სანდრო ბრეგაძემ, სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ბოკერიას ბრძანებით პოლიცია მათი აქციის დარბევას აპირებდა. ბრეგაძემ არც მისი დაპატიმრება გამორიცხა.

შსს-მ, თავის მხრივ, პირობა დადო, რომ წესრიგს დაიცავდა და ნებისმიერ არეულობას აღკვეთდა.

ორმაგი მარშით ხელისუფლება საკმაოდ შეშფოთებული იყო. გავრცელებული ინფორმაციით, მათ დახმარებისთვის საქართველოს პატრიარქს მიმართეს. აღსანიშნავია, რომ 23 ივლისს ლამის მთელმა მთავრობამ პატრიარქს ყაზბეგში ჩააკითხა.

ყაზბეგში მოუხდათ ჩასვლა ქართული მარშის ორგანიზატორებსაც. სანდრო ბრეგაძე, ლადო სადღობელაშვილი, გია კორკოტაშვილი და კოკა მორგოშია იქ პატრიარქს შეხვდნენ.

პატრიარქთან მათი შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა სოციალურ ქსელში სასწრაფოდ გავრცელდა.

შეხვედრის დასრულებისთანავე მედიასთან კომენტარი გააკეთა გია კორკოტაშვილმა:

– პატრიარქი არის გენიოსი ადამიანი, ყველა ადამიანის, დამნაშავესა და არადამნაშავეს და ასე მაფიქრალს და ისე მოუწოდებს, რომ მშვიდობიანად ერთმანეთს გავუგოთ, ერთმანეთს შევუნდოთ, ვაპატიოთ და ვიცხოვროთ, რომ ახალი საქართველო ავაშენოთ. პატრიარქი ასე ბრძანებს, მე ვეთანხმები იმიტომ, რომ ვიცი, მისი უწმინდესობა რამხელათი ბრძენი ადამიანია, მაგრამ არის რაღაცები, რაშიც ხანდახან შენ თვითონ სული წაგძლევს ხოლმე, ქრისტიანობა გვეყოს, მე აქედან ასე გამოვედი ჯერჯერობით რა, – განაცხადა გია კორკოტაშვილმა.

საგანგებო განცხადება გაავრცელა საქართველოს საპატრიარქომაც. ეკლესიამ ორივე მხარეს აქციაზე უარის თქმისკენ მოუწოდა.

– როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დღეს თბილისში შეიქმნა საშიშროება საზოგადოების წევრებს შორის დაპირისპირებისა.

მოვუწოდებთ ,ქართული მარშისა და ,,ევროპული საქართველომოძრაობა თავისუფლებისათვის“ ხელმძღვანელებს, თავი შეიკავონ დაგეგმილი აქციისაგან, რათა თავიდან ავიცილოთ გაუთვალისწინებელი შედეგები, – ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ქართული მარშის წევრები საპატრიარქოს განცხადებას გაგებით მოეკიდნენ.

– ჩვენ პატივს ვცემთ პატრიარქის თხოვნას და ამიტომაც ქართული მარში აქციას აღარ გამართავს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ლადო სადღობელაშვილმა.

სხვა რეაქცია ჰქონდათ „ევროპული საქართველოს“ წევრებს. მათ განაცხადეს, რომ აქცია არ გადაიდებოდა.

იმ დროს, როცა ქართული მარშის წევრების ნაწილი პატრიარქს ხვდებოდა, მეორე ნაწილი ხალხს აღმაშენებლის გამზირზე მისვლისკენ მოუწოდებდა.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ზაზა დავითაიას, განცხადებით, ქართული მარშის აქცია არ გაიმართებოდა, მაგრამ ისინი ბოკერიას მარშს არ დაუშვებდნენ.

მოგვიანებით გაირკვა, რომ „ევროპულ საქართველოს“ რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატებიც შეუერთდნენ.

პოლიციამ ქართული მარშის მხარდამჭერები ტროტუარებზე აიყვანა. ამის წყალობით „ევროპულმა საქართველომ“ მშვიდად ჩამოიარა.

მართალია, მათ მშვიდ სიარულს ხელისუფლება უზრუნველყოფდა, მაგრამ ხელისუფლების მიმართ მაინც უკმაყოფილონი იყვნენ.



– ჩვენი ქვეყნის დღევანდელი გამოწვევა არის არა მხოლოდ ის, რომ ჩვენს ქვეყანაში დღეს არსებობენ პუტინის ფაშისტები და ასეთები არსებობენ დალაგებულ, კარგი პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნებშიც კი. მაგრამ ჩვენი გამოწვევაა ის, რომ ისინი არიან გათავხედებულები, მათ მფარველობს ივანიშვილის მთავრობა და ამ ბოლო პერიოდში გაბედეს საჯაროდ 25 წლის გოგოს გაუპატიურების მუქარა და ამის შემდეგაც კიდევ არიან „გონორზე“. ამიტომ აუცილებელია, რომ საზოგადოებამ აჩვენოს, ჩვენ ბევრად მეტნი ვართ და არასოდეს დავუშვებთ, რომ ამ ხალხმა მთავრობის დაკვეთით, მთავრობის სატელიტობით ან ქვეყნის გარეთ ჩვენი მტრის დაკრულზე მიაღწიონ თავის მიზანს და ამ ქვეყანაში აიღონ თავიანთ ხელში ინიციატივა. ეს არ მოხდება საქართველოში. ჩვენი მეტნი ვართ და ჩვენ დავიცავთ ამ ქვეყნის ისტორიულ არჩევანს, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

„ევროპული საქართველოს“ მშვიდობიანი მსვლელობა დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც კი ისინი ქართული მარშის მომხრეებს მიუახლოვდნენ, მამა-პაპური გინება ატყდა. ქართული მარშის მომხრეები „ევროპული საქართველოს“ მომხრეებს მოღალატეებსაც ეძახდნენ.

გინების გარდა, მათ ერთმანეთის მიმართულებით კვერცხების, ბოთლებისა და ცოცხების სროლა დაიწყეს. პოლიცია შუაში ჩადგა და მათ დაშოშმინებას ცდილობდა.

შეტაკებისას ერთი ქალი მსუბუქად დაშავდა.

კვერცხებსა და ცოცხებს გადარჩენილმა „ევროპული საქართველოს“ წევრებმა მარჯანიშვილის მოედნამდე პოლიციის დახმარებით მიაღწიეს.

მარშის დასასრულს შესრულდა ევროკავშირის ჰიმნი, ასევე, გაუშვეს ფეიერვერკი.

მარშის ორგანიზატორები 23 ივლისის აქციით კმაყოფილი იყვნენ. დეპუტატ ელენე ხოშტარიას თქმით, საქართველოში ფაშიზმი ვერასოდეს გაიმარჯვებს.



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი სესიაშვილი: „რუსეთი საერთაშორისო სამართლის წესრიგიდან გამოსულია“

გულიკო ბალაძე

ორი დღის წინ რუსეთმა კვლავ გადმოსწია და დააფიქსირა საოკუპაციო საზღვარი კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში. რას ფიქრობს ხელისუფლება ამ საკითხზე? პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ რუსეთი, სამწუხაროდ, არ ექვემდებარება მშვიდობიანი გზით, საერთაშორისო სამართლის ნორმებით ვითარების დარეგულირების ფორმატს, მოქმედებს აგრესიულად და პროვოკაციულად.

***— ბატონო ირაკლი, მოგეხსენებათ, კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში რუსებმა საოკუპაციო საზღვარი გადმოსწიეს. ხელისუფლების პოზიცია როგორია, როგორ აპირებს ის რუსეთის აგრესიის შეჩერებას?***

— სამწუხაროდ, რუსეთი დიდი ხანია, გამოსულია საერთაშორისო სამართლის წესრიგიდან, მოქმედებს აგრესიულად და პროვოკაციულად, უკრაინაში ყირიმის ოკუპაცია მოახდინა, აღმოსავლეთ უკრაინის ოკუპაციას ახდენს. მანამდე კრემლმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა. სამწუხაროდ, რუსეთი არ ექვემდებარება მშვიდობიანი გზით, საერთაშორისო სამართლის ნორმებით ვითარების დარეგულირების ფორმატს. ამ პროცესს ებრძვის არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლება, არამედ მთელი მსოფლიო, თუმცა, სამწუხაროდ, კრემლის რუსული პოლიტიკა ადეკვატურ რეაგირებას არ ახდენს.

***— რა გზით აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას?***

— რა გზაც ჩვენ გაგვაჩნია — დიპლომატიური, საერთაშორისო, ადგილზე სხვადასხვა სახის ფორმატით. ყველა გზას გამოვიყენებთ, რომლებსაც ვიყენებთ რუსეთის აგრესიული ქმედებების შესაჩერებლად, თუმცა, სამწუხაროდ, რუსეთი აგრესიულ ქმედებებს აგრძელებს.

***— თქვენ ბრძანეთ, რომ რუსეთი მშვიდობიან ფორმატებს არ ექვემდებარება. ხომ არ დადგა დრო, სადაც რუსეთმა ამჯერად საზღვარი გადმოსწია და ხნული გააკეთა, კონკრეტულად იმ ხნულთან დავაყენოთ ჩვენი საჯარისო ნაწილები ჩვენი მიწის დასაცავად, ელემენტარულად, თუნდაც ძალის დემონსტრირება მოვახდინოთ კონკრეტულად იმ ადგილის დასაცავად, რომ ასე ადვილად საზღვარი ველარ გადმოსწიონ?***

— ნებისმიერი ძალის დემონსტრირება არის ის ნაბიჯი, რომელიც აწყობს პროვოკატორს. რასაც რუსეთი აკეთებს, პროვოკაციისთვის არის განკუთვნილი. ჩვენ რომ დამატებით პროვოკაციის საფუძველი გავაჩინოთ, ამან შეიძლება მიგვიყვანოს ძალადობრივ დაპირისპირებამდე. ძალადობრივი დაპირისპირება შეიძლება გადაიზარდოს შეიარაღებულ კონფლიქტში.

სამწუხაროდ, ჩვენ მსგავსი კონფლიქტი ვნახეთ. თუ ვინმეს იმის განცდა აქვს, რომ რუსეთსა და რუსულ შეიარაღებას უკუვაგდებთ და ძალისმიერი მეთოდებით აღვადგენთ ტერიტორიულ მთლიანობას, მას არ აქვს არსებული ვითარების სწორი ანალიზის უნარი. როცა არ გვქონდა ამის უნარი, ვნახეთ, რა შედეგიც მოიტანა.



„მთავარია, პროვოკაციას არ წამოვეგოთ“

***— მაშინ ცოტა სხვა სიტუაცია იყო, საქართველოს მთავრობა შორს წავიდა, საჯარისო შენაერთები ცხინვალში შეიყვანა. მე მხოლოდ ერთი კონკრეტული ადგილის დაცვაზე ვლაპარაკობ.***

— რაც სათქმელი იყო, გითხარით, მეტს ვერაფერს დავამატებ.

***— ბაქო-სუფსის სამკილომეტრიან მილსადენს უკვე რუსეთი აკონტროლებს.***

— ასე ნუ იტყვით, რომ რუსეთი მილსადენს აკონტროლებს. ნუ იტყვით, რომ სამკილომეტრიანი მონაკვეთია. ეს ასე არ არის. შესაბამისი სამსახურები მუშაობენ, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციები, ამიტომ ნუ მოვახდენთ სიტუაციის დრამატიზებას.

***— რუსეთის ბოლოდროინდელი ქმედებები საქართველოში — ყარაფილაში გადმოსვლა და ნავთობსადენის კონტროლის მცდელობა ჩვენი ტერიტორიის ოკუპაციის საზღვრებს უკვე სცილდება, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიდი ქვეყნების ინტერესების კვეთა ხდება, ნავთობსადენიდან გამომდინარე, ამერიკის, ინგლისის, თურქეთის ინტერესებია. რამდენად შეიძლება დაგვეხმაროს ეს ფაქტორი ვითარების დარეგულირებაში? თუ არის რაიმე სიგნალი მათგან რუსეთის შესაჩერებლად?***

— რას გულისხმობთ დახმარებაში?

***— დიპლომატიური გზებით დახმარებას ვგულისხმობ.***

— დიპლომატიური გზებით მუდმივად გვეხმარებიან, მუდმივად ადეკვატურ რეაგირებას ახდენენ. ახლა კონგრესი იღებს ახალ რეზოლუციას, სადაც საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ საქართველოსთვის მოხდება დამატებით დახმარების აღმოჩენა. რა ფორმითაც შეუძლია ადეკვატური დახმარება, გვეხმარება.

***— ბევრს გული ეტკინა, როცა ტრამპმა პუტინთან უკრაინის პრობლემებზე ილაპარაკა, საქართველო კი არ უხსენებია. ამჯერად კონგრესის გადაწყვეტილებაში უშუალოდ აღნიშნულია საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის საკითხი?***

— კონგრესის დადგენილებაში საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის პრობლემებზეა ლაპარაკი.

***— იმედი გაქვთ, რომ ეს შედეგს გამოიღებს?***

— იმედი... ისეთ კითხვებს მისვამთ, ცოტა ბანალურად მეჩვენება ასეთი კითხვების დასმა. ყველა გადაწყვეტილებას თავისი როლი, თავისი დრო და ადგილი აქვს.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ხელისუფლება მუშაობს?***

— რა თქმა უნდა.

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოფიციალური ვიზიტით ისრაელს ეწვევა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი 24-25 ივლისს ოფიციალური ვიზიტით ისრაელს ეწვევა. ინფორმაციას ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

ოფიციალურ ვიზიტს საქართველოს მთავრობის მეთაური ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან პირისპირ შეხვედრით დაიწყებს, რის შემდეგაც მედიისთვის ერთობლივი განცხადებები გაკეთდება.

დაგეგმილია გიორგი კვირიკაშვილის შეხვედრა ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტ რუვენ რივლინსა და ქნესეთის თავმჯდომარე იული ედელშტეინთან, ასევე, ქნესეთის ოპოზიციის ლიდერ ისააკ ჰერცოგთან.

პრემიერი აგრეთვე შეხვედრებს გამართავს პალესტინისა და წმინდა ქალაქ იერუსალიმის პატრიარქ თეოფილოს III-თან და ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი პატივს მიაგებს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნას, ასევე ეწვევა იერუსალიმის ჯვრის მონასტერს.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში ვიცეპრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში თედო ჯაფარიძე იმყოფებიან.

**აიპრესი**

## ვანო ზოდელავა ქვემო ფონიჭალასთან ავტოავარიაში მოყვა

### „რატომ და როდემდე უნდა იყოს დაშვებული ამ ქვეყანაში მარჯვენასაჭიანი მანქანების მოძრაობა?!....“

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის ყოფილი მერი ვანო ზოდელავა ავარიაში მოყვა. საშინელი ავტოავარია, რომლის დროსაც ერთმანეთს 3 ავტომანქანა შეეჯახა, ქვემო ფონიჭალასთან მოხდა. ავარიის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ვანო ზოდელავა ნიუჰოსპიტალის კლინიკაში გადაიყვანეს.

ავარიის დღეს ზოდელავა აზერბაიჯანიდან დაბრუნდა, სადაც მას ბიზნესი აქვს.

თბილისის მერის თანამდებობაზე ზოდელავამ 6 წელი გაატარა. ის ამ თანამდებობაზე 1998-2004 წლებში მუშაობდა, მანამდე კი ფოთის მერი იყო.

ინფორმაცია ზოდელავას ავარიაში მოყოლის შესახებ მისმა მეგობარმა ზაზა შენგელიამ გაავრცელა.

ზაზა შენგელიამ სოციალურ ქსელში ემოციური პოსტი გამოაქვეყნა, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ.

— რატომ და როდემდე უნდა იყოს დაშვებული ამ ქვეყანაში მარჯვენასაჭიანი მანქანების მოძრაობა?!.... ასეთი მანქანები პოტენციური მკვლელები არიან!!!.... მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც ერთდროულად მარჯვენა და მარცხენა საჭიანი მანქანების მოძრაობაა დაშვებული... ან ერთია და ან მეორე....

რამდენი ადამიანი შეიწირა მარჯვენა საჭემ, რამდენი დაასახიჩრა და მაინც ვერ მოევლო ამ უბედურებას... ვერ დავიჯერებ, რომ ასეთი პრობლემურია ამ საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გაჭრილად გადაწყვეტა.... დღეს ღამით ჩემი უახლოესი მეგობარი ვანიკო ზოდელავა, მარჯვენასაჭიანი ტაქსით აზერბაიჯანის საზღვრიდან თბილისისკენ მომავალი, საშინელ ავტოკატასტროფაში მოყვა და მისი სიცოცხლე კითხვის ნიშნის ქვეშაა. იმ მანქანის მძღოლი, რომელსაც ეს ტაქსი შეეჯახა, გარდაიცვალა და მარჯვენასაჭიანი ტაქსის მძღოლმა, რომელშიც ვანიკო იჯდა, მსუბუქი დაზიანებები მიიღო მხოლოდ....

მერე ადგება ეს ტაქსის მძღოლი, გაარემონტებს მანქანას და ჰერი-ჰერი კიდევ ახალი მოსახდენი და პოტენციური საავტომობილო მკვლელობებისკენ.... რატომ? როდემდე?

❖ ❖ ❖



ექიმების განმარტებით, ვანო ზოდელავას ტრეპანაცია ჩაუტარდა. მათი განცხადებით, ზოდელავას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და ის ამ დრომდე რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება.

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს.

# „ყარამანიშვილმა მითხრა, რუსთავი 2-ში ისევ ყველაფერი არეულიაო“

## მამუკა გამყრელიძე: „ნიკა გვარამია უნდა გაერკვეს, რა უნდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***— ბატონო მამუკა, ნიკა გვარამია ხელისუფლებას სასამართლოში უჩივის, აცხადებს, რომ ქუმსიშვილმა საგადასახადო ინფორმაციის გასაჯაროებით კანონი დაარღვია. მეორე მხრივ, ქუმსიშვილი აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია არანაირ საიდუმლოებას არ წარმოადგენს და არც მისი გასაჯაროებით დარღვეულა კანონი. რას იტყვით თქვენ?***

— თუ საჯარო ინფორმაციაა, მისი გამოქვეყნება ალბათ შესაძლებელია, ხოლო ეს ყველაფერი რამდენად ეთიკურია, ეს მეორე საკითხია. ეს თუ არ არის საჯარო ინფორმაცია, საკმაოდ გამოცდილი იურისტია გვარამია და შეუძლია, კიდეც იჩივლოს სასამართლოში.

***— განაცხადა, რომ იჩივლებს.***

— თუ არ იყო საჯარო და გაასაჯაროეს, ასეთ პროცესს მოიგებს კიდეც. თუმცა, სავარაუდოდ, ასეთ სისულელეს არ გააკეთებდა ხელისუფლება და არასაჯარო ინფორმაციას არ გაასაჯაროებდა. მე იურისტი არ ვარ და ამ რეგულაციებში ვერ ვერკვევი, მაგრამ შემიძლია ერთი რამ გითხრათ, ეთიკა და კანონი კიდევ სხვადასხვა რამეა. რამდენად საჭირო იყო ამის გაკეთება, ეს სხვა საკითხია.

***— ამ კუთხით მიდის ზეწოლა რუსთავი 2-ზე?***

— რუსთავი 2-ზე ზეწოლა რომ მიდის, რად უნდა ამას ლაპარაკი. რუსთავი 2-ს რომ ნელ-ნელა შლიან, ესეც საიდუმლო არ არის. ხედავთ, რომ განახევრდა ტელევიზია.

***— საკმაოდ ბევრი თანამშრომელი წავიდაო...***

— დიახ, ძალიან ძლიერი ხალხი, ძლიერი შემადგენელი ნაწილი აღარ ჰყავს ამ ტელევიზიას.

***— და არა მარტო ჟურნალისტებიო...***

— რა თქმა უნდა. პროდაქშენის ძალიან სერიოზული ნაწილი წავიდა. წავიდა ხაბურძანია, წავიდა დემნა ჯაფარიძე, რომელიც საკმაოდ ძლიერი იყო თავის საქმეში. უძლიერესი კადრები წავიდნენ.



გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ალიძვრება თუ არა საქმე მეუფე პეტრეს წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი



ციანიდის საქმეზე შესაძლოა ახალი სკანდალი აგორდეს. ჭყონდიდელი მიტროპოლიტი მეუფე პეტრე არ გამორიცხავს, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრან.

მეუფე პეტრეს აზრს იზიარებს მამა გიორგი მამალაძის ერთ-ერთი ადვოკატი მიხეილ რამიშვილი. მისი თქმით, გამორიცხული არაფერი არ არის. ადვოკატი ასევე ადასტურებს მეუფე პეტრეს განცხადებას იმის შესახებ, რომ დაკავების მომენტში დეკანოზ გიორგი მამალაძეს მეუფე დიმიტრისა და სოსო ოხანაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ.

რატომ არ რეაგირებს პროკურატურა მეუფე პეტრესთვის გაგზავნილ მუქარის შემცველ გზავნილზე, რა ჩვენება მისცა გამოძიებას ბათუმისა და ლაზეთის ეპისკოპოსმა, რა განცხადება გააკეთა მეუფე იაკობმა სასამართლოზე, რატომ არ სურს პროკურატურას სოსო ოხანაშვილის დაკითხვა, რით ემუქრებოდა ადვოკატებს საგამოძიებო უწყება, როდის დაკითხავენ ირაკლი ფირცხალავას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ადვოკატი მიხეილ რამიშვილი ესაუბრება.

***– მეუფე პეტრემ რუსთავი 2-ის ეთერში განაცხადა, რომ დაკავებისთანავე მამა გიორგი მამალაძეს სთხოვდნენ, პატრიარქის ძმისშვილის, მეუფე დიმიტრისა და დაცვის უფროს სოსო ოხანაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მიეცა. ამ თემაზე ადრე ადვოკატებიც საუბრობდით. დამატებით შეგიძლიათ ამაზე რამის თქმა?***

– გამომძიებლები საოცრებებს ყვებიან იმის თაობაზე, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე კანონის სრული დაცვით დააკავეს, რაც დიდი სიცრუე და სისულელე გახლავთ.

მამა გიორგის დაკავებისას არც მისი უფლებები გააცნეს და არც ბარგის ჩხრეკას დაასწრეს. მამაო მანქანაში ძალის გამოყენებით ჩასვეს. ეს პირები მას გზაში ეუბნებოდნენ, აღიარე, რომ პატრიარქის მოსაკლავად მიდიოდიო. ამის გარდა, მისგან ძალიან მკაცრად და კატეგორიულად ითხოვდნენ, რომ თანამზრახველებად მეუფე დიმიტრი და სოსო ოხანაშვილი დაესახელებინა. ეს მოთხოვნა მას შემდეგშიც წაუყენეს. დაკითხვისას ამაზე რამდენჯერმე იყო საუბარი.

ამ ამბავში საინტერესოა მთავარი მოწმის ჩვენებებიც. წინასწარ გამოძიებაში ირაკლი მამალაძეს ექვსი თუ შვიდი ჩვენება აქვს მიცემული. ის ძალიან ინტენსიურად მიდიოდა იმ პირებისკენ, რომელთა დასახელებასაც პროკურატურა მამაოსგან ითხოვდა.

ჩვენებებში ირაკლი მამალაძე ამბობს, რომ, დიდი ვარაუდით, მამაოს თანამზრახველები იქნებოდნენ მეუფე დიმიტრი და სოსო ოხანაშვილი. ამათ ხომ ჩახვეული აქვთ ფრაზები – ჩვენ და ისინი. ჰოდა, ახლა გამოძიება ეძებს თანამზრახველებს. გამოძიება კი „მაღალპროფესიონალურად“ მიმდინარეობს, 6 თვეა, იძიებენ და ვერაფერი გამოიძიეს. მათ არათუ ის ვერ გაიგეს, ვინ არიან ჩვენ და ისინი, არამედ, ისიც ვერ გაარკვიეს, თუ სად იყიდა მამაომ ციანიდი. ამას ვერ გაარკვევენ იმიტომ, რომ დეკანოზს ციანიდი არ უყიდია.

***– მეუფე პეტრე მის წინააღმდეგ საქმის აღძვრას არ გამორიცხავს. თქვენი აზრით. ასეთი რამე შესაძლებელია?***

– იქიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, არაფერი გამორიცხული არ არის.

მას იმის გამო ედავებიან, რატომ მოინახულე დაკავებული დეკანოზიო. მეუფე პეტრემდე მამაოსთან მეუფე ანდრია შევიდა საპყრობილეში. დეკანოზმა ჭყონდიდელ მიტროპოლიტს იგივე გაუმეორა, რაც მანამდე მეუფე ანდრიას უთხრა.

ახლა ვიღაცები ისეთ სცენარს ხატავენ, რომ თითქოს მათ მამა გიორგის ჭკუა დაარიგეს და უთხრეს, გამოძიებასთან როგორ ელაპარაკა. სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, რომ ამის გამოცდილება არც მეუფე პეტრესა და არც მეუფე ანდრიას არ აქვთ.

ადამიანი რომ აღსარებას ჩაგაბარებს, ყველაფერს მოგიყვება და, თუ გვერდზე დაუდექი, მისნაირი გამოდიხარ. ეს არის დაშინების მცდელობა. ყველას გაჩუმებისკენ მოუწოდებენ. ჩემ მიმართაც იყო დაშინების მცდელობა.

ამ საქმეში მე მამა გიორგის დაკავებიდან 10 დღის შემდეგ ჩავერთე. თავიდან მეც ის ვიცოდი, რაც მთელმა საზოგადოებამ. მეც მეგონა, რომ იგეგმებოდა მაღალი იერარქიის სასულიერო პირის მოწამვლა. საქმეს მანამდე არ მოვკიდე ხელი, სანამ მამაოს არ გავესაუბრე.

მამაოს არგუმენტების მოსმენის შემდეგ მისი დაცვა გადავწყვიტე. როგორც კი დაცვაზე თანხმობა განვაცხადე, პროკურატურის წარმომადგენელი მოვიდა ჩემთან და მომთხოვა, გაუთქმელობის ხელწერილზე მომეწერა ხელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისგებაში მიცემით მემუქრებოდნენ. ამ მუქარაზე ვუპასუხე, რაც გინდა, ის გიქნია, შენ თავად არ წახვიდე ციხეში-მეთქი.

ეს პროკურორები რომ გამოდიან და ამბობენ, მეუფე პეტრეს დაინტერესება აქვსო, დააკონკრეტონ, რისი ინტერესი შეიძლება ჰქონდეს მას. ერთადერთი, რაც ჭყონდიდელ მიტროპოლიტს აინტერესებს, სიმართლის დადგენაა.

## მიხეილ რამიშვილი: „არაფერი არ არის გამორიცხული“

***– მეუფე პეტრემ განაცხადა, რომ მას ვაიბერში მიუვიდა მუქარის შემცველი გზავნილი. ეს გზავნილი მან გაასაჯაროვა, მაგრამ ამის გამოძიება არ მომხდარა. ამაზე რის თქმა შეიძლება?***

– ეს გახმაურებული ამბავია, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, გამოძიებას ამ ფაქტზე რეაგირება არ ჰქონია. სამაგიეროდ, ირაკლი მამალაძისთვის დედის გინებაზე სასწრაფოდ დაიწყეს გამოძიება.

***– ირაკლი მამალაძე ახსენეთ და მასთან დაკავშირებით ყოფილმა მაღალჩინოსანმა ირაკლი ფირცხალავამ სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა. დაცვის მხარე მის დაკითხვას ითხოვდით. ეს დაკითხვა ჯერ ვერ შედგა. თქვენი ინფორმაციით, დაკითხავენ მას თუ არა?***

– ირაკლი ფირცხალავა აუცილებლად უნდა დაიკითხოს. ზუსტად როდის მოხდება მისი გამოკითხვა, არ ვიცი, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა მოხდეს. იმედი მაქვს, ეს უახლოეს მომავალში მოხდება.

***– სასამართლოზე ჩვენება მისცა მეუფე დიმიტრიმაც. ამ სხდომაზე ხომ არ ყოფილა საუბარი იმაზე, რომ მას პატრიარქის წინააღმდეგ რაღაც შეთქმულების მოწყობას სდებდნენ ბრალად?***

– მსგავსი არაფერი ყოფილა. მეუფე დიმიტრიმ ისაუბრა, ვინ როგორი ადამიანია, ვინ როგორი რეგალიები მიიღო. ის ცალსახად ამბობს, რომ სასულიერო პირებს შორის არანაირი დაპირისპირება არ არის. აზრთა სხვადასხვაობა კი ყველა ოჯახშია და ეს ნორმალური მოვლენა გახლავთ. აზრისა და სიტყვის თავისუფლება სწორედ განსხვავებული მოსაზრების არსებობას გულისხმობს.

ერთადერთი მეუფე იაკობი იყო, რომელმაც ადვოკატებს ძალიან კატეგორიულად შემოგვხედა. ექვსი ადვოკატი ვისხედით. მეუფემ სიტყვასიტყვით ასე თქვა, ერთ-ერთის გასაგონად ვამბობ, სასამართლო პროცესები რომ დამთავრდება, მერე ვნახავ და ვასწავლი, ვის როგორ უნდა ელაპარაკოსო.

მაშინვე მივხვდი, რომ ჩემზე საუბრობდა, გვარისა და სახელის დასახელება ვთხოვე, მაგრამ არ დაასახელა.

***– თქვენ, მგონი, პირადად იცნობთ მეუფე იაკობს.***

– მე ბევრს ვიცნობ და მეც ბევრი მიცნობს ძალიან კარგად. მეუფის განცხადება რაღაც ჭკუის სწავლების, მუქარასავით გამოვიდა.

***– შეიძლება შინაურულად გითხრათ, თქვენ ხომ იცნობთ ერთმანეთს.***

– შინაურულად ასე არ ითქმის. შინაურულად თქმას არც პროკურორი სჭირდება და არც მოსამართლე. ჩემი ნახვა თუ უნდა მეუფეს, არ არის პრობლემა. მერე შევთავაზე, სადაც გინდათ, მე განახავთ-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა, არ მინდა შენი ნახვაო.



## „სოსო ოხანაშვილი თანახმაა, სასამართლოს ჩვენება სკაიპის მეშვეობით მისცეს“

***– მეუფე იაკობისგან სოსო ოხანაშვილზე გადავიდეთ. პროკურატურა ამბობს, რომ ის საქართველოში ჩამოსვლასა და ჩვენების მიცემას არ აპირებს, დაცვის მხარის მტკიცებით კი მისი დაკითხვა პროკურატურის ინტერესებში არ შედის.***

– გიდასტურებთ, რომ პროკურატურას მისი დაკითხვა არ სურს. სასამართლო სხდომაზე, სადაც ოხანაშვილის დაკითხვა იგეგმებოდა, გამომძიებლებმა წარმოადგინეს ოქმი, სადაც ეწერა, ველაპარაკეთ ოხანაშვილის მეუღლეს და ის ამბობს, სოსო საქართველოში არ ჩამოვა და ჩვენებას არ მისცემსო.

ამიტომაც პროკურატურა ითხოვდა, გამოვაქვეყნოთ ოხანაშვილის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებაო. ამაზე დაცვის მხარემ ვთქვით უარი. ჩვენი გზებით შევძელით მასთან დაკავშირება. ოხანაშვილი თანახმაა, სასამართლოს ჩვენება სკაიპის მეშვეობით მისცეს. იმედია, არ გადაიფიქრებს.

***– რატომ უნდა გადაიფიქროს?***

– სახელმწიფო მანქანას შეუძლია, გადააფიქრებინოს. თქვენ რა, გგონიათ, რომ უკეთესი ვითარებაა ქვეყანაში? არაფერიც. ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთ.

# „ყარამანიშვილმა მითხრა, რუსთავი 2-ში ისევ ყველაფერი არეულიაო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– გადაბირება ხდება?***

– ყველაფერიც ხდება. რა თქმა უნდა, ზეწოლაც დიდია და ხელისუფლების ალგორითმიდან გასაკვირი ამაში არაფერია. სამწუხაროა, რომ ყველა ხელისუფლების მხრიდან ასე ხდება და მიმდინარეობს მედიაზე ზეწოლა. ეს ყველაფერი სერიოზულ უკუქმედებას იწვევს და, საბოლოო ჯამში, ისევ დარტყმას მიაყენებს ხელისუფლებას. დღეს არა და ხვალ ეს ყველაფერი აუცილებლად ბუმერანგივით დაუბრუნდება ხელისუფლებას. აი, ნახავთ თუ არა.

***– თქვენც ფიქრობთ, რომ მიზანმიმართულ ქმედებას აქვს ადგილი იმისთვის, რომ არხი ჩაიძიროს?***

– რასაკვირველია. შესაძლოა, ამ გასაჯაროებით რაღაც განსაკუთრებული დარტყმები არ ადგება არხს, მაგრამ აქ ეთიკის მომენტიც არის, გარკვეული ზეწოლაც არის. გადასარევად იციან, რომ საკმაოდ სერიოზული დაპირისპირებაა არხის მფლობელებსა და დირექციას შორის. დღეს კი ამ ყველაფრის მუსირება და პრესინგი ხდება. საბოლოო ჯამში კი ამ პროცესებით რუსთავი 2-ის განადგურება უნდათ. ამაში კი გასაკვირი არაფერი არ არის, გამომდინარე ჩვენი ხელისუფლების ხასიათიდან. ეს არასწორია. ასევე არასწორად იქცეოდა წინა ხელისუფლება. მიბრაზდებიან, რატომ ამბობ ამასო. რატომ ვამბობ და შესანიშნავად ვიცი, რაც იყო.

***– რა იყო?***

– რა და საშინელი პრესინგი იყო ტელევიზიებზე ნაციონალური მოძრაობის პერიოდში, განსაკუთრებით უგულავასა და ბოკერიას მხრიდან. ახლა რომ გამოდიან და იძახიან, რატომ ახორციელებ ჩვენზე ასეთ წნეხსო, რა, თქვენ რომ ახორციელებდით, კარგი იყო?!



***– საგადასახადო აცხადებს, რომ გადასახადი ყველა კომპანიამ უნდა გადაიხადოს, რათა კონკურენტული გარემო იყოს. გვარამია კი ამბობს, რომ მათ ანგარიშებს ყადაღა ადევს და ამიტომ ვერ იხდიან გადასახადებს.***

– არ ვიცი, რომელ ანგარიშებს ადევს ყადაღა. ყველა ანგარიში რომ დაყადაღებული არ არის, ეს ფაქტია. საოპერაციო ანგარიშები რომ აქვთ და რაღაცნაირად ახერხებენ და ოპერირებენ, ესეც ცხადია. თუ გადასახდელი აქვთ, უნდა გადაიხადონ. თუ შემოსავალი არ ჰყოფნით, მაშინ უნდა შეამცირონ ხარჯები, მაგრამ შემოსავლებიც საკმაოდ დიდი აქვთ. თქვენ თვითონ უყურებთ ალბათ რუსთავი 2-ს და ხედავთ, რამდენად დიდი და მრავალრიცხოვანი რეკლამა აქვთ. მოკლედ, არც ისე მარტივად არის საქმე, როგორც ამას გვარამია ყვება.

***– თუ არ გადაიხდიან, პრობლემებიც შეექმნებათ?***

– ნებისმიერ შემთხვევაში, რა სიტუაციაც არ უნდა გქონდეს, ისე უნდა გასწიო ხარჯები, რომ გადასახადის გადახდაც შეძლო და არც თავად დაზარალდე. მენეჯმენტი ეგ არის, ხოლო თუ ვერ ახერხებ მართვას, მაშინ უნდა დაუთმო სხვას და, ვინც იცის ეს საქმე, იმან მართოს.

***– გვარამია აცხადებს, რომ რუსთავი 2-ს ემუქრება საგადასახადო ყადაღა, ეთერის ჩაქრობა... რამდენად მიდის აქეთკენ ყველაფერი?***

– უკვე რამდენჯერ მოვისმინეთ გვარამიასგან ასეთი განცხადებები. ბიჭისა და მგლის ამბისა არ იყოს, არიქა, მგელი, მგელიო და ბოლოს აღარავინ დაუჯერა.

***– აღარც გვარამიას დაუჯერებენ?***

– საბოლოოდ რა იქნება, ვერ გეტყვით. მე დღეს უფრო მაწუხებს ის, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში, რომელიც ჩემი ფულიდან ფინანსდება, მრავალათასიან ჯიპებს ყიდულობს დირექცია!

***– რა ხდება დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე?***

– ხდება ის, რომ მაქსიმალურად მიმდინარეობს თავისუფალი აზრის, თავისუფალი სიტყვის ჩახშობა. მეორე არხის გაუქმება იყო უდიდესი მავნებლობა! შეცდომა კი არ იყო, მავნებლობა. ეს იყო ადგილი, სადაც ყველა პარტიას, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, სხვადასხვა შეხედულების ადამიანს შეეძლო, გამოეხატა თავისი აზრი. მძიმე დარტყმა მიაყენეს მედიაპლურალიზმს ამით. პირველი არხი ხომ საერთოდ რა დღეშია.

***– რა დღეშია?***

– მე ზუსტად ვიცი, შიგნით რაც ხდება, უბრალოდ, დღეს ამის ხმამაღლა ლაპარაკი არ მინდა. ერთს ვიტყვი, წინა ხელმძღვანელობის პირობებში იყო ძალიან პრორუსული განწყობები, რუსებზე არ თქვათ ცუდი, რუსებზე არ ილაპარაკოთ, ასეთი სამწუხარო პოლიტიკა იყო. მიხარია, რომ ის კაცი გაუშვეს, თუმცა, ვინ მოიყვანეს, ეს მეორე საკითხია!

***– გვარამიას მიაჩნია, რომ ეს იყო კონკურენტების სასარგებლოდ წამოწყებული თამაში და ასეა? რუსთავი 2-ში აქტიურად საუბრობდნენ გვარამიას გაშვებაზე, ახლა მიჩუმდნენ. ყარამანიშვილი თქვენი მეგობარია. რა ხდება შიგნით?***

– დაახლოებით ერთი კვირის წინ ველაპარაკე მფლობელს, რა ქენი, დაალაგე სიტუაცია-მეთქი, რომ ვკითხე, ვერაფერიც ვერ დავალაგე, ისევ ისე არეულია ყველაფერიო. ძალიან მტკივნეული თემაა და ამიტომ დეტალებს აღარ ჩავეძიე. ცხადია, შიგნით ისევ დაპირისპირებაა. გვარამია კი უნდა ჩამოყალიბდეს თავის განცხადებებში, ვისთვის კეთდება ეს გასაჯაროება – კონკურენტებისთვის თუ ხელისუფლებისთვის. ვინ გებრძვის, კონკურენტები თუ ხელისუფლება?! თუ ორივე ერთად?!

# ნატოს მანევრებში საქართველოც მონაწილეობს

**მარიამ მჭედლიშვილი**

ამ ზაფხულს ნატოსა და რუსეთს შორის დაძაბულობის ესკალაციაა მოსალოდნელი. ასეთი პროგნოზების გამოთქმის საფუძველს იძლევა ნატოს ძალების მობილიზება აღმოსავლეთ ევროპაში, ნატოს დაგეგმილი წვრთნები და რუსეთის მიერ დაანონსებული სწავლება ბელორუსიაში.

ნატოს 18 წვრთნა შავი ზღვის რეგიონში ეწყობა. ნატოს სარდლობის შეფასებით, ეს რეგიონი განსაკუთრებულად არის შეშფოთებული რუსეთის აგრესიული ქმედებებით.

აშშ-ის სახმელეთო ჯარების სარდლის ევროპაში, ბენ ხოჯესის თქმით, ნატოს წვრთნები უნდა დაეხმაროს ამ რეგიონის ქვეყნებს, მოემზადონ საპასუხო დარტყმისათვის, როცა მათ რუსეთი დაემუქრება.

– ამ რეგიონის ახლოს მცხოვრებმა ადამიანებმა იციან, რომ ეს შესაძლებელია, – აცხადებს ამერიკელი გენერალ-ლეიტენანტი.

ნატოს ყველაზე მსხვილ მანევრებში, ნატოს წევრების გარდა, პარტნიორებიც მონაწილეობენ. მათ შორის არიან საქართველო, უკრაინა და სომხეთიც კი.

ხოჯესის სიტყვებით, ამგვარი წვრთნები უნდა განიხილებოდეს რუსეთის შეკავებად.

– გვინდა, მზად ვიყოთ. ჩვენ ვატარებთ წვრთნას იმისათვის, რომ მოვახდინოთ სამხედრო ძალის კონცენტრირება და სწრაფად ჩამოვაყალიბოთ მრავალეროვნული გუნდი ისე, რომ ჩვენს პოლიტიკურ ლიდერებს ჰქონდეთ გადაწყვეტილებების მიღების ვარიანტები, – აღნიშნავს სამხედრო მაღალჩინოსანი.

ნატოში და რუსეთის მეზობლად აღელვებთ რუსეთის მიერ დაგეგმილი მანევრები ბელორუსიაში. იქ რუსეთი 3 ათას სამხედროსა და 800 ტანკს განალაგებს.

„ბლუმბერგის“ მონაცემებით, რუსეთი სამხედრო ძალებს უპრეცედენტოდ აძლიერებს, განსაკუთრებით – დასავლეთ საზღვრებთან. არმიის მოდერნიზაციისათვის 2020 წლისთვის გამოყოფილია 314 მილიარდი დოლარი. ნატო ამავე რეგიონში როტაციული წესით 4 ბატალიონს განათავსებს.

გამოცემა ამ სიტუაციაში სახიფათოდ მიიჩნევს აშშ-ის პრეზიდენტის გამონათქვამებს ნატოზე. მისი შეფასებით, აშშ-ის ევროპელ მოკავშირეებს აფრთხობთ დონალდ ტრამპის სკეპტიციზმი ნატოს მიმართ.

აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებების თანახმად, რუსეთიდან თავდასხმისას აშშ ნატოს წევრებს დაიცავს მაშინ, თუ ისინი შეასრულებენ ვალდებულებებს.

„ბლუმბერგს“ მოჰყავს ნატოს წესდების ის მუხლი, რომლითაც შეიარაღებული თავდასხმა ერთ წევრზე ნიშნავს თავდასხმას ყველაზე, რაც მოითხოვს კოლექტიური ზომების მიღებას.



**რა რისკებს ელიან რუსეთიდან უახლოეს მომავალში**



რუსეთი საფრთხედ კიდევ ერთხელ აღიარეს ამერიკელმა სამხედრო მაღალჩინოსნებმა და ამ კუთხით ახსენეს საქართველო. აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელ ჯოზეფ დონფორდის განცხადებით, რუსეთი საფრთხეა აშშ-ისთვის:

– როცა მკითხეს, რა არის ჩვენთვის ყველაზე სერიოზული საფრთხე, ვუპასუხე, რომ, სახელმწიფო სუბიექტების თვალსაზრისით, ეს რუსეთია. ეს განვაცხადე იმიტომ, რომ რუსეთს აქვს ბირთვული პოტენციალი, კიბერშესაძლებლობები, იმის გამო, რაც მან ჩაიდინა საქართველოში, ყირიმში და რაც გრძელდება უკრაინაში.

აშშ-ის საწინააღმდეგო ნოტები რუსეთიდანაც გაისმა. რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა მკვეთრად უარყოფითად შეაფასა სანქციების გაღრმავება რუსეთის მიმართ.

ამ სანქციების მიღება წარმომადგენელთა პალატაში გაჭიანურდა. ადრინდელი ინფორმაციით, ამის თაობაზე თხოვნა თეთრი სახლიდან წამოვიდა. ამ დღეებში სანქციებს კენჭი უნდა უყარონ.

# „საპარლამენტო რესპუბლიკა კოალიციურ მთავრობას გულისხმობს“

**ნათია ხურცილავა**



## ვახტანგ ძაბირაძე: „საარჩევნო ბარიერი ბონუსების გარეშე 3%-მდე დასწიონ და ყველაფერი კარგად იქნება“

კონსტიტუციონალისტი, პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის რაიმე სახის კონსენსუსი თუ არის მოსალოდნელი? ცნობილია, რომ შეხვედრა მიმდინარე კვირას უნდა გაიმართოს.***

– მიიღწევა თუ არა კონსტიტუციური კონსენსუსი ქვეყანაში? დღეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან რთულია. როგორც წინასწარი განცხადებებიდან ჩანს, ერთი მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და, მეორე მხრივ, ოპოზიციის მხრიდან გამოიკვეთა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის საარჩევნო სისტემა, როგორი სისტემა გვექნება, შერეული თუ პროპორციული.

***– ამ საკითხზე კონსენსუსი შეუძლებელია?***

– ძალიან გამიკვირდება, რომ ამ საკითხზე კონსენსუსი იქნეს მიღწეული, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ პარტიათა რაღაც ჯგუფი გამოჩნდეს, რომელმაც მიიღოს გარკვეული შეთავაზება. შეგვიძლია გავიხსენოთ რვიანის ფორმატი, რომელიც უცებ ექვსიანზე ჩამოვიდა. ეს უცხო არ არის ქართული პოლიტიკისთვის, მანამდეც არაერთხელ ყოფილა მსგავსი რამ, თუმცა რეალურ ოპოზიციურ, გავლენის მქონე ძალებთან, არა მგონია, ასეთი შეთანხმების მიღწევა მოხდეს.

***– გარიგებას არ გამორიცხავთ?***

– არ გამოვრიცხავ, შეიძლება მოხდეს ვიღაცებთან, მაგრამ ეს არ იქნება კონსენსუსი. ეს იქნება გარიგება პარტიებთან, მაგალითად, პოლიტიკური კოალიციის რანგში, მაგრამ ვერ ვხვდები, ასეთი გარიგება რას მისცემს იმ პარტიებს, რომ ეს ნაბიჯი გადადგან.

***– თუნდაც ერთჯერადად შევიდნენ პარლამენტში დაბალი ბარიერის ფონზე.***

– წინა შემთხვევებსა და დღევანდელ შემთხვევას შორის განსხვავება არის ის, რომ მაშინ არჩევნები ახლოს იყო, ახლა საპარლამენტო არჩევნებამდე 4 წელია დარჩენილი. ამ 4 წლის განმავლობაში რა მოხდება, ღმერთმა უწყის, თანაც არის ერთი მნიშვნელოვანი რამ მთელ ამ პროცესში, არასამთავრობო სექტორი ამგვარ კონსენსუსზე არ წავა.

***– ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ თუ ახლა გადავალთ პროპორციულ სისტემაზე, დიდი შანსია, არჩევნებში გამარჯვებულმა ძალამ მთავრობა ვეღარ დააკომპლექტოს. ისინი ამბობენ, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან არ უნდათ კოალიციაში შესვლა. რამდენად არის ეს არგუმენტი არსებითი?***

– საპარლამენტო რესპუბლიკა სწორედ კოალიციური მთავრობის ფორმირებას გულისხმობს. თუ ნაციონალურ მოძრაობასთან ვერ შევლენ კოალიციაში, კიდევ ერთი არჩევნები ჩატარდება, მანამდე კი ტექნიკური მთავრობა იქნება. ამაში ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ.

***– ეს ხომ იქნება პოლიტიკური კრიზისი, რაზეც საუბრობს სწორედ ხელისუფლება?***

– ასე ხდება ყველა დემოკრატიულ დასავლურ ქვეყანაში, სადაც არის საპარლამენტო მმართველობა და სადაც ერთი ძალა ვერ იღებს იმდენ მანდატს, რომ დამოუკიდებლად დააკომპლექტოს მთავრობა. შემდეგ იქმნება კოალიციური მთავრობა, რეალურად ასე ფორმირდება კოალიცია და ეს არ აღიქმება არც მოსყიდვად და არც გარიგებად, რადგან ყველაფერი ხდება ღიად. რა არის ამაში ცუდი?!

მაგრამ, საქმე ის არის, რომ ეს არის თამაში. ნაციონალურ მოძრაობასთან დაპირისპირებული არავისზე ნაკლებად არ ვყოფილვარ, მაგრამ მათ ნახევარი მილიონი ამომრჩეველი უჭერს მხარს. მე ეს მომწონს თუ არ მომწონს, სულ სხვა საკითხია, მაგრამ ეს არის ის რეალობა, რომელიც გვაქვს. ეს ნახევარი მილიონი არის საქართველოს მოქალაქე. მე ნაციონალურ მოძრაობასთან ვარ დაპირისპირებული და არა მის მხარდამჭერ ნახევარ მილიონ საქართველოს მოქალაქესთან.

ეს არ არის ის არგუმენტი, რომლითაც შეიძლება, ხელისუფლებამ ისაუბროს. არა მგონია, მართლაც ასეთი მიუღებელი იყოს ნაციონალური მოძრაობა მათთვის, გამომდინარე იმ ოთხწლიანი ურთიერთობიდან, რასაც ვხედავთ ნაციონალური მოძრაობის მიმართ ზოგადად. ეს არის ის არგუმენტი, რომელიც მუშაობს საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც ნაციონალურ მოძრაობასთან მკვეთრად არის დაპირისპირებული, მაგრამ ამ შემთხვევაში რამდენად იმუშავებს, რთული სათქმელია, ან რატომ გადაწყვიტეს, რომ მომავალ არჩევნებში ეს ორი პარტია იქნება პარლამენტში წარმოდგენილი, ან რატომ არ აქვთ იმედი, რომ ისეთი შემადგენლობით მოვლენ, რომ მთავრობა დააკომპლექტონ?! მარტივ რამეს ვთავაზობ: საარჩევნო ბარიერი დასწიონ 3%-მდე ყოველგვარი ბონუსების გარეშე და ყველაფერი იქნება მშვენივრად, პარლამენტიც ბევრად უფრო მრავალპარტიული იქნება.

***– არის ინფორმაცია, რომ ხელისუფლება აპირებს 3%-იანი ბარიერის დაწევას და საარჩევნო ბლოკების დათმობას, სწორედ იმიტომ, რომ პოლიტიკური პროცესი პარლამენტში შევიდეს და არა – ქუჩაში.***

– ბარიერის დაწევა მხოლოდ ერთჯერადად ხდება, 2020 წლის არჩევნებისთვის. ასევე ბლოკების დათმობა მოხდება ერთჯერადად. 2024 წელს თუ 3%-იანი ბარიერი დარჩება და თან პროპორციული სისტემა შემოვა, ასევე იქნება ბლოკები. ეს პრობლემას შექმნის. თუ კვლავ 5%-იანი ბარიერი დაბრუნდება და ბლოკებიც აიკრძალება, მაგრამ პროპორციული სისტემა შემოვა, ეს იქნება ის, რომ კვლავ შეინარჩუნებს ხელისუფლება ძალაუფლებას, არანაირი განსხვავება არ იქნება.

ეს ხომ არ არის პირველი, ამას აკეთებდა მოქალაქეთა კავშირი, რასაც მოჰყვა რევოლუცია, შემდეგ – ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ, როგორ დაამთავრა, ვნახეთ და ახლა ამას აკეთებს „ქართული ოცნება“. მიკვირს რატომ არ უწევს ის ანგარიშს იმ პოლიტიკურ გამოცდილებას, რომელიც წინ უდევს.

# ზარას ფაბრიკის მშენებელ თურქულ კომპანიას ქართული მიწის სიმბოლურ ფასად მიღება სურს

ZARA

ოზურგეთში ზარას ფაბრიკის მშენებლობა სახელმწიფო პროგრამით „აწარმოე საქართველოში“ მეშვეობით სურთ. „საქმის კურსს“ გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ განუცხადა, რომ „ენა ტექსტაილის“ წარმომადგენლებმა უკვე შეავსეს შესაბამისი აპლიკაცია და მთავრობისგან პასუხს ელოდებიან. საუბარია სახელმწიფო პროგრამით მიწის სიმბოლურ ფასად გადაცემაზე.

– ეკონომიკის სამინისტროში კომისია განიხილავს ამ საკითხს და თუ კომისიამ ჩათვალა აპლიკაციის მეშვეობით შევსებული ყველა მასალა სწორად შევსებული, შემდეგ უკვე მთავრობის გადასაწყვეტი იქნება, გადაეცემათ თუ არა მიწა. მათი გეგმა-გრაფიკით, მშენებლობა მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაიწყება, – აცხადებს გუბერნატორი.

მისივე თქმით, თურქული კომპანიის წარმომადგენლებმა ადგილობრივი წარმომადგენლობა უკვე შექმნეს, თუმცა, რა სახელწოდებით აგრძელებენ საქართველოში ოპერირებას, გუბერნატორი ჯერ არ ასაჯაროებს.

ოზურგეთში ზარას ფაბრიკის შესაძლო მშენებლობის შესახებ ინფორმაცია გასული წლის ბოლოს გავრცელდა. თურქულ კომპანია „ენა ტექსტაილს“ ადგილზე პირველ ეტაპზე 500, შემდეგ კი 1.000 ადამიანის დასაქმება სურს. ოზურგეთში მდებარე ფაბრიკაში დაახლოებით 5 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება და, ზარას გარდა, სხვა ცნობილი ბრენდების ტანსაცმლის წარმოებაც იგეგმება.

**ბიზნესპრესნიუსი, სალომე მეცხვარიშვილი**

# „რუსთავი 2“-ის გადაცემა „ბიზნესკურიერი“ დაიხურა

„რუსთავი 2“-ის გადაცემა „ბიზნესკურიერი“ დაიხურა. ამის შესახებ სოციალურ ქსელში გადაცემის თანამშრომლები და გულშემატკივრები წერენ. აკაკი გოგიჩაიშვილის საავტორო, ეკონომიკური გადაცემა, რომელიც 11 წელი გადიოდა „რუსთავი 2“-ზე, 22 ივლისს უკანასკნელად გავიდა ეთერში.

– „ბიზნესკურიერი“ ამით ასრულებს მუშაობას, ერთმანეთს სექტემბერში შევხვდებით, სრულიად ახალ ფორმატში, რომელიც ეკონომიკური თემების უფრო ღრმად შესწავლისა და პრობლემების გამოაშკარავების შესაძლებლობას მოგვცემს, – ამ სიტყვებით დაემშვიდობა აკაკი გოგიჩაიშვილი მაყურებელს.

„11 წელი... ბიზნესკურიერის ბოლო ეთერი“ – წერს გადაცემის ჟურნალისტი თამუნა დემეტრაშვილი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე და ადასტურებს, რომ „ბიზნესკურიერი“ დაიხურა.

კიდევ ერთი თანამშრომელი მეგი კავთუაშვილი კი კომენტარში წერს: „მშვიდობაა, ახალ გადაცემაზე ვმუშაობთ“.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი წევრი ზურაბ ჭიაბერაშვილი გადა-



ცემის დახურვის შესახებ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე წერს:

„როგორც ირკვევა, დღეს „ბიზნესკურიერის“ ბოლო ეთერი იყო. ძალიან კარგი პროფესიონალები 11 წლის განმავლობაში აკეთებდნენ ამ უაღრესად საინტერესო და, რაც მთავარია, საჭირო გადაცემას.

ის, რომ „ბიზნესკურიერი“ ეთერში არ გავა, ჩვენი არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მდგომარეობის დიაგნოზია: ეს ნიშნავს, რომ ჩვენს საზოგადოებაში ემოციას მეტი წონა აქვს, ვიდრე რაციონალურ განსჯას და ანალიზს. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ „რუსთავი 2“-ს ფინანსური პრობლემები ჰქონოდა და ამ შეტევის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი ხელისუფლების ყველაზე ეფექტური და კარგი ეკონომიკური წატცჰდოგ აღმოჩნდა.

მადლობა მინდა ვუთხრა „ბიზნესკურიერის“ არაჩვეულებრივ გუნდს. ისინი ნებისმიერ ასპარეზზე წარმატებულნი იქნებიან. ვუსურვებ კიდეც წარმატებას!“ – წერს ჭიაბერაშვილი.

„ბიზნესკურიერის“ დახურვას ნაციონალი რომან გოცირიძეც გამოეხმაურა.

– „ბიზნესკურიერის“ დახურვა მოძალადე ხელისუფლების კისერზეა, – წერს რომან გოცირიძე სოციალურ ქსელში.

„ვერ მოერივნენ სამართლებრივად, ახრჩობენ ფინანსურად. დადგება დრო, ძალიან ბევრს მოუწევს იმ მრავალ კანონდარღვევაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისგება, რასაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადიოდნენ“, – წერს გოცირიძე.

2017, 24 ივლისი, №173

# დავით ნარმანია: „არ გამოვრიცხავთ, რომ პეკინის ქუჩაზე მოძრაობა ცალმხრივი გახდეს“

## პეკინზე ველობილიკები და ავტობუსების სპეციალური ხაზი გაკეთდება

პეკინის ქუჩის შესაძლო გაცალმხრივებასთან დაკავშირებით შესაბამისი კვლევა მიმდინარეობს.

ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ 22 ივლისს პეკინის სარეაბილიტაციო შტაბში მორიგ სამუშაო სხდომაზე განაცხადა.

სამუშაო შეხვედრაზე დავით ნარმანიამ, კეთილმოწყობისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსებმა, გამწვანების სამსახურის წარმომადგენლებმა და საბურთალოს გამგებელმა პეკინის ქუჩაზე მოძრაობის ორგანიზების საკითხებზე, ასევე, სამუშაოების შესრულების მდგომარეობის შესახებ იმსჯელეს.

დავით ნარმანიას განცხადებით, პეკინის ქუჩის მარჯვენა მხარეს ყველა ძირითადი მიწისქვეშა კომუნიკაცია გამოიცვალა. იქ, სადაც მიწისქვეშა საკომუნიკაციო სამუშაო დასრულდა, ასფალტის საფარის პირველი ფენის დაგება დაიწყო.

– თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ვიკრიბებით და ვადევნებთ თვალყურს სამუშაოების მიმდინარეობას. სა-



მუშაოები 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს. ამ თვის ბოლომდე ქუჩის მარჯვენა მხარეს ყველა ძირითადი სამუშაო დასრულდება, მოძრაობას გადავრთავთ მარცხენა მხარეს და სარეაბილიტაციო სამუშაოები მეორე მონაკვეთზე დაიწყება, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერის თქმით, სამუშაოები დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს და პეკინის ქუჩის რეაბილიტაციის პროცესი 10 სექტემბერს დასრულდება.

რაც შეეხება პეკინის ქუჩაზე მოძრაობის ცალმხრივად გადაკეთების შესაძლებლობას, თბილისის მერის თქმით, ამასთან დაკავშირებით შესაბამისი კვლევა მიმდინარეობს.

– არ გამოვრიცხავთ, რომ იყოს ცალმხრივი მოძრაობა. ამასთან ერთად, ვმუშაობთ იმაზე, რომ გაკეთდეს ცალკე ავტობუსების ხაზი, სადაც ავტობუსი უფრო სწრაფად და კომფორტულად გადაადგილდება. ვმუშაობთ ასევე ველობილიკებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ჩვენ უკვე მოვამზადეთ გამწვანების კომპონენტი და პეკინის გამზირზე მწვანე ნარგავები დაირგვება, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

**ბიპიენი**

# ვახტანგ ჭარაია: „ექსპორტში ახალი სავიზიტო ბარათი გვჭირდება“



– ღვინო და თხილი ექსპორტზე რომ გადის, კარგია, მაგრამ ახალი სავიზიტო ბარათია საჭირო.

ამის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის პრეზიდენტმა, ვახტანგ ჭარაიამ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ ისაუბრა.

გადაცემაში ვახტანგ ჭარაიამ ბოლო ექვსი თვის ეკონომიკური მდგომარეობა შეაფასა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მხოლოდ 2017 წლის ივნისის თვეში, ექსპორტი 46.6 %-ით გაიზარდა, შესაბამისად, ბოლო 6 თვის საშუალო ზრდამ 31.8 % შეადგინა. ზრდა გვაქვს ისეთი მიმართულებით, როგორიც არის სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ფეროშენადნობები, ღვინოები და მინერალური წყლები.

ვახტანგ ჭარაიას თქმით, ექსპორტი იზრდება, თუმცა სტრუქტურა არ იზრდება და საჭიროა ახალი, ინოვაციური პროექტების წამოწყება, რომ ექსპორტზე ახალი წარმოება გავიდეს.

– ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მიღწევები ნამდვილად არის. ექსპორტი გაიზარდა, თუმცა, სამწუხარო ის არის, რომ წლიდან წლამდე ექსპორტის სტრუქტურა არ იცვლება. კარგი იქნება, რომ უფრო მეტად მზა ნაწარმის ექსპორტზე გადავიდეთ. კარგია, ღვინო და თხილი ექსპორტზე რომ გადის, მაგრამ საჭირო ახალი წარმოება. ახალი სავიზიტო ბარათი გვჭირდება და ამ კუთხით მუშაობა საჭიროა.

მიხარია, რომ ეკონომიკის სამინისტროს ფარგლებში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ამოქმედდა. გარკვეული ინოვაციური იდეები უკვე არსებობს, რაც წაახალისებს ახალგაზრდებს. შეიძლება რაიმე გრანდიოზული პროექტი ჯერ არ ჩანს და პატარა პროექტებია, მაგრამ ინოვაციების სფეროში პატარა პროექტიც შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, – განაცხადა ვახტანგ ჭარაიამ.

მისივე თქმით, ექსპორტის ზრდა ან ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობაზე რამდენიმე წლის შემდეგ აისახება. ეს არის ეკონომიკური სტანდარტი.

– ეკონომიკაში არის ასეთი პრინციპი, რომ წლებისა და ეკონომიკური ზრდის ნამრავლით ვიგებთ, რამდენით შეიძლება ჩვენი ეკონომიკა გაორმაგდეს. მაგალითად, თუ ყოველწლიურად ჩვენი ეკონომიკა იზრდება 10%-ით, 7 წელიწადში ეკონომიკა უნდა გაორმაგდეს. ასეთია სტანდარტი. თუ 15%-იანია ზრდა, დაახლოებით 4 წელიწადზე ცოტა მეტი დასჭირდება, რომ მოსახლეობამ კეთილდღეობა იგრძნოს.

იმის თქმა, რომ ერთ კონკრეტულ წელს ექსპორტი გაიზარდა, ან ეკონომიკური ზრდა ოდნავ მეტი გვაქვს და ეს მოსახლეობაზე იმ წუთას აისახება, შეუძლებელია. ასეთი რამე ფიზიკურად ვერ მოხდება. განვითარებად ქვეყნებშიც ასე ხდება. რეალური პროგრესი გვაქვს, თუმცა ამ ყველაფერს დრო დასჭირდება, – აღნიშნა ვახტანგ ჭარაიამ.

**კომერსანტი**

# შემოსავლების სამსახური: „ტყუილია, რომ საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია საჯარო 2017 წლიდან გახდა“

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განცხადებით, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია საჯარო 2017 წლიდან გახდა, არის ტყუილი და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა.

– 2012 წლიდან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის სტატუსის, სახელწოდების, მისამართის, საიდენტიფიკაციო ნომრისა და საგადასახადო დავალიანების შესახებ არის საჯარო.

შესაბამისი ცვლილებები „საგადასახადო კოდექსში“ განხორციელდა 2012 წლის 25 ივნისის ცვლილებით: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1684086.

გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია, გადასახადის გადამხდელის სახელწოდების, მისამართის, საიდენტიფიკაციო ნომრის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია ბიზნესის რეესტრის ერთიანი ბაზების მიხედვით. რაც შეეხება საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციას,

იმის გამო, რომ აღნიშნული ინფორმაცია ყოველდღიურად იცვლება, მისი მიღება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურიდან კონკრეტული თარიღის მდგომარეობით. 2012-2017 წლების პერიოდში არა ერთი ცნობა გაიცა გადამხდელის დავალიანების შესახებ. შესაბამისად, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია საჯარო გახდა 2017 წლიდან, არის ტყუილი და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა, – ნათქვამია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობისთვის 2 კომპანიას ქონება იძულებით ჩამოერთვა

თბილისი – წითელი ხიდის საავტომობილო გზის (თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტისთვის ორ კომპანიას ქონება იძულებით ჩამოერთვა.

ეკონომიკის სამინისტროს ბრძანებით, გზის მონაკვეთის მშენებლობა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების პროექტად ჩაითვალა და სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა პროექტის ფარგლებში მოქცეულ შემდეგ მესაკუთრეთა უძრავ ქონებაზე:

1. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (უძრავი ქონება მთლიანი ფართი 181.00 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა; კერძოდ, ავტოგასამართი სადგური).

2. შპს „ავზი-94“ (უძრავი ქონება რეგისტრირებული ფართის 11.501 კვ.მ-ის ნაწილი 71 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა; კერძოდ, ბენზინგასამართი სადგური და საკვების ობიექტი).

თბილისი-რუსთავის ურბანული გზის რეკონსტრუქცია ითვალისწინებს 17.1 კმ სიგრძის 2-ზოლიანი გზის გაფართოებას 4-ზოლიან გზატკეცილად, რომლის საპროექტო სიჩქარეა 120 კმ/სთ საერთო დაგეგმილი სიჩქარით.

თბილისი-რუსთავის მონაკვეთი წარმოადგენს თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) ჩქაროსნული გზის ნაწილს.

**ბიზნესპრესნიუსი**

# ესტონური მოდელი და გაყიდვების 12%-იანი ზრდა — საქკაბელის 6 თვე

2017 წლის იანვრიდან ქვეყანაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმა განხორციელდა. კერძო სექტორი ბიზნესისთვის ყველაზე ხელშემწყობ რამდენიმე მიმართულებას ასახელებს. მათ შორისაა მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელის ამოქმედება, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია/საწარმო მოგების გადასახადით მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში დაიბეგრება, ხოლო თუ მის სრულ რეინვესტირებას მოახდენს, აღნიშნული გადასახადისგან გათავისუფლდება.



ცვლილებების მიხედვით, კომპანია, რომელიც მოგებას არ გაინაწილებს და თანხის რეინვესტირებას განახორციელებს, მოგების გადასახადს არ გადაიხდის. განაწილებული მოგება კი ჩვეულებრივ, კვლავ 15%-ით დაიბეგრება.

მთავრობის მოლოდინი იყო, რომ ახალ მოდელზე გადასვლის შედეგად 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაახლოებით 400 მილიონ ლარს დაკარგავდა, თუმცა, ცვლილება ბიზნესს წაახალისებდა.

„კომერსანტი“ დაინტერესდა რამდენად წაახალისა ბიზნესი ქვეყანაში განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა და რამდენად აისახა ეს მათ საქმიანობაზე.

სს „საქკაბელის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ედიშერ მამალაძე აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 6 თვეში დადებითი იყო ტურიზმის ზრდა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. მისი განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ გაიზარდა სამშენებლო სექტორი, სს „საქკაბელს“ რეალიზაცია გაეზარდა, რაც საბოლოო ჯამში გაყიდვების მაჩვენებლის 12-პროცენტიან ზრდაში გამოიხატა.

მამალაძის განცხადებით, 2017 წლის დასაწყისიდან დღემდე ყველაზე მნიშვნელოვანი საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებაა. საუბარია ესტონური მოდელის ამოქმედებაზე. კომპანიას გაუჩნდა თავისუფალი სახსრები და მოტივაცია, რომ უფრო მეტი რეინვესტირება მოახდინოს.

მისი განცხადებით, აღნიშნულმა რეფორმამ დადებითი შედეგი გამოიღო თუნდაც იმ კუთხით, რომ ბიუჯეტის შესრულების მხრივ ქვეყანაში პრობლემა არ არის, შეჩერებულია ინფლაციური პროცესები და ლარის კურსი გამყარებისკენ წავიდა.

– ესტონური მოდელის ამოქმედების შემდეგ რეინვესტირების უფრო მეტი ინტერესია, ვინაიდან ის სახსრები, რომელთაც ქარხანაში ვიყენებთ, მოგებით აღარ იბეგრება. ამ დრომდე რეინვესტირება არ მოგვიხდენია, რადგან „აწარმოე საქართველოს“ კრედიტით ვსარგებლობდით და ამის საჭიროება ამ დროისთვის არ ყოფილა, – აცხადებს მამალაძე.

მისივე თქმით, ამ დროისთვის კომპანია ექსპორტს სომხეთში ახორციელებს.

**კომერსანტი**

# ხეხილის ბაღების გაშენებისთვის სახელმწიფომ 17,9 მილიონის დაფინანსება გასცა

პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის რაიონის სოფელ დამია-გეურარხში მირგუსეინ ასადოვმა კაკლის ბაღი გააშენა.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ლევან დოლიძემ, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილესთან ზაურ დარგალთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მირგუსეინ ასადოვის მიერ 6 ჰექტარზე გაშენებული კაკლის ბაღი დაათვალიერეს.

სამინისტროს ცნობით, აღნიშნული ბენეფიციარი პროგრამაში 2016 წელს ჩაერთო. ბაღის გაშენებისა და სარწყავი სისტემების მოწყობისთვის 23 490 ლარის ოდენობის სახელმწიფო დაფინანსება მიიღო – 14.175 ლარი ნერგებისთვის, ხოლო 9. 315 ლარი – წვეთოვანი სისტემებისთვის.

პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, საქართველოს მასშტა-



ბით, ხეხილის ახალი ბაღები 3.570 ჰექტარზეა გაშენებული და სახელმწიფო დაფინანსების მოცულობა 17.914.959 ლარს შეადგენს. აქედან, ქვემო ქართლის რეგიონში ხეხილის ბაღები 505 ჰა მიწის ფართობზე გაშენდა.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „აწარმოე საქართველოში ბიზნესის“ ფარგლებში, ახორციელებს „ერთიან აგროპროექტს“.

**ბიზნესპრესნიუსი**

# „კულა“ ჩაქაფულისა და ტოლმის კონსერვების წარმოებას იწყებს

ხილისა და ბოსტნეულის წარმოების შემდეგ კომპანია „კულა“ ხორცის კონსერვების წარმოებაზე გადადის.

„კულას“ ახალი საწარმო უკვე შევიდა ექსპლუატაციაში და უახლოეს პერიოდში გამოუშვებს ისეთ ქართულ ტრადიციულ კერძებს, როგორებიც, მაგალითად, ჩაქაფული და ტოლმაა.

კომპანიის ხელმძღვანელი ვანო გოგლიძე „საქმის კურსთან“ საუბარში აცხადებს, რომ საწარმო ერთ ცვლაში 5-დან 7 ტონამდე დაკონსერვებულ პროდუქციას გამოუშვებს. ხორცის კონსერვების ახალი საწარმოს შექმნაზე მილიონ-ნახევრიდან 2 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია განხორციელდა.

– ჩვენ უკვე ავიღეთ აკრედიტაცია ახალი საწარმოსთვის, რომელიც გამოუშვებს რამდენიმე სახეობის ხორცის კონსერვს. ჩვენ უკვე გამოვუშვით და ვაპირებთ გავაგრძელოთ ისეთ ქართულ ტრადიციული კერძების წარმოება როგორებიცაა, მაგალითად, ჩაქა-




ფული, ბუღლამა, ჩაშუშული, ტოლმა. ასევე თევზის კონსერვები. საწარმოს სიმძლავრეებიდან გამომდინარე, ორი ცვლის შემთხვევაში 10-დან 14 ტონამდე დაკონსერვებული პროდუქციის გამოშვებაა შესაძლებელი, – განაცხადა ვანო გოგლიძემ.

„კულამ“ ცოტა ხნის წინ ექსპლუატაციაში გაუშვა ასევე კომპოტების ახალი საწარმო, რომლის წარმადობა 1 საათის განმავლობაში 4.000 ცალია.

გორის საკონსერვო ქარხანაში წარმოებული პროდუქცია, ადგილობრივი ბაზრის გარდა, მსოფლიოს 25 ქვეყანაში იყიდება.

**ბიზნესპრესნიუსი**

# სუს-მა აკაკი წერეთელი, ზაზა ზაზაშვილი და გიორგი ნარიმანიძე დააკავა

21 ივლისს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე თელავის საკრებულოს წევრი ზაზა ზაზაშვილი, ქალაქ რუსთავის მერის წარმომადგენელი აკაკი წერეთელი და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციის ყოფილი სპეციალისტი გიორგი ნარიმანიძე დააკავა.

როგორც სუს-ში გამართულ ბრიფინგზე აღინიშნა, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები საქართველოს მოქალაქეს ქ. რუსთავში მათ მიერვე შერჩეულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6.008 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სასტუმროს მშენებლობის ნებართვის აღებაში დახმარებას დაჰპირდნენ, რის სანაცვლოდ ქრთამის სახით მოითხოვეს 15.000 აშშ დოლარის გადახდა.



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე, ქალაქ რუსთავის მერის წარმომადგენელი აკაკი წერეთელი და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციის ყოფილი სპეციალისტი გიორგი ნარიმანიძე დააკავეს.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები საქართველოს მოქალაქეს ქ. რუსთავში მათ მიერვე შერჩეულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6.008 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სასტუმროს მშენებლობის ნებართვის აღებაში დახმარებას დაჰპირდნენ, რის სანაცვლოდ ქრთამის სახით მოითხოვეს 15.000 აშშ დოლარის გადახდა.

ბრალდებულებმა აღნიშნულ მოქალაქეს წინასწარ გამოართვეს ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 7.000 აშშ დოლარის ოდენობით, რის შემდეგაც ისინი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს. ქრთამის სახით გადაცემული თანხა – 7.000 აშშ დოლარი ამოღებულია ნივთმტკიცებად.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს, – განაცხადეს სუს-ში.

უწყებაში გამართულ ბრიფინგზე აღინიშნა, რომ თელავის საკრებულოს წევრი და საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი კომისიის თავმჯდომარე ზაზა ზაზაშვილმა კონკრეტულ აუქციონში გამარჯვებაში დახმარების სანაცვლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ქრთამის სახით 30.000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა.

– სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე თვითმმართველი თემი – თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და ამავე საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი კომისიის თავმჯდომარე ზაზა ზაზაშვილი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ზაზა ზაზაშვილი უცხო ქვეყნის მოქალაქეს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რეალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად აუქციონზე გატანას და აღნიშნულ აუქციონში გამარჯვებაში დახმარებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით მოსთხოვა 30.000 აშშ დოლარის გადახდა.

ზაზა ზაზაშვილმა მის მიერ მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 15.000 აშშ დოლარი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ჩაარიცხვინა საკუთარ საბანკო ანგარიშზე, რის შემდეგაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს), – განაცხადეს სუს-ში.

* * *

22 ივლისს რუსთავის მუნიციპალიტეტის თანამშრომლის და ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის ყოფილი სპეციალისტის საქმე გადაკვალიფიცირდა.

ამის შესახებ დაკავებულების ადვოკატმა როინ მოსეშვილმა განაცხადა. მისივე ინფორმაციით, გამოძიება არა ქრთამის აღების, არამედ თაღლითობის მუხლით მიმდინარეობს.

ადვოკატის ინფორმაციით, დაკავებულები თავს დამნაშავედ არ ცნობენ და გამოძიებასთან თანამშრომლობენ.

სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილი, რაც თაღლითობას გულისხმობს, ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე.

23 ივლისს რუსთავის მუნიციპალიტეტის თანამშრომელსა და ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის ყოფილ სპეციალისტს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

დაცვის მხარემ სასამართლო პროცესზე ორთვიანი წინასწარი პატიმრობის 10 ათასლარიანი გირაოთი ჩანაცვლების შუამდგომლობა დააყენა, თუმცა მოსამართლემ პროცესზე წარმოდგენილი გარემოებებისა და მოწმეებზე შესაძლო ზეწოლის მოტივით ორივე ბრალდებულს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

შემდგომი სხდომა სექტემბრისთვის ჩაინიშნა.

## გურამ ფოცხიშვილისა და დიმა ომოლჩენკოს მკვლელების „ფოლკსვაგენი“ ქობულეთშია ნაყიდი

ოზურგეთში რამდენიმე დღის წინ მომხდარი სასტიკი მკვლელობის შესახებ ახალი დეტალები ხდება ცნობილი. როგორც „ნიუპოსტის“ რეგიონული კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, თავდამსხმელთა ვინაობა პოლიციისთვის, სავარაუდოდ, ცნობილია.



არსებული ინფორმაციით, შავი ფერის „ფოლკსვაგენის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა, რომლითაც თავდამსხმელები გადაადგილდებოდნენ და შემდეგ ერთ-ერთ სოფელში დაწვეს, ოზურგეთში არსებული ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგურის ვიდეოთვალმა დააფიქსირა.

პოლიციამ ასევე აღნიშნული ავტომობილის მფლობელს, ქობულეთში მიაკვლია. ჩვენი ინფორმაციით, ქალი ამბობს, რომ ავტომანქანა მან ორ ოზურგეთელ ახალგაზრდას ერთი თვის წინ მიჰყიდა.

– მე რამდენჯერმე დავუკავშირდი ამ ახალგაზრდებს, ვთხოვე, გადაეფორმებინათ ავტომანქანა, მაგრამ ეს არ მოხერხდა, – ამბობს ქალი.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ თავდასხმაში მონაწილეებმა საქართველო უკვე დატოვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო დროის ერთ-ერთ სისხლიან მკვლელობაზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

როგორც „ნიუპოსტს“ უწყებაში უთხრეს, ინტენსიური სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს. შსს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მეტ დეტალზე არ საუბრობს.

გასულ კვირას ოზურგეთში 2 მამაკაცი ჩაცხრილეს. გავრცელებული ინფორმაციით, მომხდარი ქურდულ გარჩევას უკავშირდება.

გარდაცვლილთაგან ერთს, გურამ ფოცხიშვილს, კრიმინალური წარსული აქვს. გურიაში დარწმუნებულები არიან, რომ სწორედ მისი მკვლელობა იყო დაგეგმილი, მეორე კი მისი დის ქმარი, დიმა ომოლჩენკო, ოზურგეთის ტაძრის სტიქაროსანი იყო და მას ბავშვობიდან შემოქმედის მიტროპოლიტი, მეუფე იოსები ზრდიდა. ადგილობრივები ეჭვობენ, რომ 31 წლის ომოლჩენკო იმიტომ მოკლეს, რომ ის ფოცხიშვილის მკვლელობის ერთადერთი მოწმე იყო.

**ნიუპოსტი**

## თრუსოს ხეობაში ებრაელი ტურისტი დაიღუპა

თრუსოს ხეობაში ებრაელი ტურისტი დაიღუპა.

შემთხვევა 20 ივლისს მოხდა. არსებული ინფორმაციით, ტურისტი ხეობაში გაზის მილზე იდგა და სელფს იღებდა. როგორც თვითმხილველებმა განაცხადეს, სურათის გადაღებისას ახალგაზრდა ხეობისკენ გადაიხარა, ფეხი დაუცდა და მდინარეში ჩავარდა.

მაშველებმა გარდაცვლილის ცხედარს, ჩავარდნის ადგილიდან 3 კმ-ში, რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ მიაკვლიეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განუცხადეს, სამძებრო სამუშაოებში, მცხეთა-მთიანეთის სამაშველო ჯგუფები, ჯამში, 15 მაშველი მონაწილეობდა. გარდაცვლილი ტურისტის ცხედარს მაშველებმა 21 ივლისს, დილის 08:00 საათზე მიაკვლიეს.



მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

## ჩაქვის გვირაბთან ავარიას ახალგაზრდა მამაკაცი ემსხვერპლა

ჩაქვის გვირაბთან მომხდარი ავტოავარიას 40 წლამდე ასაკის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.




შემთხვევა 22 ივლისს, გამთენიისას მოხდა. თვითმხილველთა განცხადებით, ერთმანეთს „ჯიპი“ და მსუბუქი ავტომობილი შეეჯახნენ.

ერთ-ერთი ავტომობილის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა. მეორე მამაკაცის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული მ.მ. ნარკოდანაშაულისთვის ბათუმში დააკავეს.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 40 ნატეხი და ამავე ნარკოტიკული საშუალების ფხვიერი მასა ამოიღეს, საერთო წონით – 17,69 გრამი.

– ნარკოლოგიური შემოწმებით, მ.მ.-ს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ განმეორებით მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 273-ე მუხლით მიმდინარეობს, – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

# ირანი ახალ სარაკეტო პროგრამას იწყებს

ირანის თავდაცვის მინისტრმა დაჰტიანმა ახალი სარაკეტო პროგრამის დაწყების შესახებ გამოაცხადა.



საუბარია რაკეტა „საიალდ-3“-ის მშენებლობაზე. ირანელები მასზე უდიდეს იმედებს ამყარებენ.

ვაშინგტონმა ირანის სარაკეტო პროგრამის გამო შეშფოთება გამოთქვა. მიუხედავად ამისა, ირანელები პროექტის შეჩერებას არ აპირებენ.

– ამერიკული სანქციები ვერ შეგვაჩერებს, – აცხადებს დაჰტიანი.

# იერუსალიმში არაბმა მოქალაქემ ებრაულ ოჯახს ესროლა

იერუსალიმში შეტაკებები არ ცხრება. არაბმა მოქალაქემ ებრაულ ოჯახში შეაღწია და მის წევრებს ცეცხლი გაუხსნა. დაჭრილია 4 მოქალაქე. ტერორისტმა სროლა მას შემდეგ შეწყვიტა, როცა მეზობლები მოცვივდნენ. მათ თავდამსხმელი გააუვნებელყვეს.



ერთ-ერთმა წამყვანმა პალესტინურმა პარტიამ „ფატხმა“ მოსახლეობას გამოსვლებისაკენ მოუწოდა. „ფატხის“ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მეჩეთი ალ-ალია, ისევე, როგორც სხვა წმინდა ადგილები, „ისრაელელი ოკუპანტებისგან“ უნდა გათავისუფლდნენ.

პასუხად ისრაელის ხელისუფლებამ იერუსალიმში სპეცრაზმი შეიყვანა.

# ჩინეთში მიწისძვრა მოხდა

ჩინეთში 4.9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მიწისქვეშა ბიძგების ეპიცენტრი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ცილინის პროვინციაში მდებარე ქალაქ სონგიუანში დაფიქსირდა.

მიწისძვრის შემდეგ ქალაქში უსაფრთხოების ზომები მიიღეს და მატარებლის 50-მდე რეისი შეჩერდა.

მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

მცირე მიწისქვეშა ბიძგები ახლოს მდებარე ქალაქებშიც იგრძნობოდა.

# აშშ-ის კონგრესი რუსეთის წინააღმდეგ დამატებით სანქციებს შემოიღებს

კონგრესმენმა დემოკრატმა სტივენ ჰოიერმა განაცხადა, რომ აშშ-ის კონგრესი რუსეთის წინააღმდეგ დამატებით სანქციებს მხარს უჭერს.



ჰოიერმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე როგორც რესპუბლიკელებს, ისე დემოკრატებს შორის ერთიანობაა.

– დამატებითი სანქციები შესაძლოა ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე შემოვიღოთ, – ამბობს ჰოიერი.

აღნიშნული პერსპექტივა რუსეთის შეშფოთებას იწვევს. სენატორმა ალექსეი პუშკოვმა იმედი გამოთქვა, რომ ტრამპი ამ კანონპროექტს ხელს არ მოაწერს:

– თუკი კონგრესი აღნიშნულ კანონპროექტს მიიღებს, საეჭვოა, რომ მას ტრამპმა ხელი მოაწეროს, რადგან, ამ კანონპროექტის თანახმად, რუსეთის მიმართ სანქციების შემოღება-არშემოღების პროცესზე პრეზიდენტი კონტროლს დაკარგავს, – ამბობს პუშკოვი.

# ტრამპი „ვაშინგტონ პოსტის“ წინააღმდეგ

გავლენიანმა ამერიკულმა გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ ტრამპის რისხვა დაიმსახურა.



გაზეთში გამოქვეყნდა სტატია რუსეთის ელჩ კისლიაკის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. გაზეთი წერდა, რომ ამერიკულმა სპეცსამსახურებმა დააფიქსირეს, თუ როგორ გადასცა კისლიაკმა მოსკოვში საიდუმლო ინფორმაციები.

– „ვაშინგტონ პოსტმა“ სახელმწიფო საიდუმლოება გააჟღერა! ეს დაუშვებელია! – ასეთია ტრამპის კომენტარი.

# კურტ ვოლკერი დონბასში გაემგზავრა

აშშ-ის სპეცწარმომადგენელი უკრაინის საკითხებში კურტ ვოლკერი დონბასში გაემგზავრა.



იქ ის შეხვდება დონბასის მოსახლეობას, რომელიც რუსული აგრესიის შედეგად დაზარალდა. კიევში დაბრუნების შემდეგ დაგეგმილია ვოლკერის შეხვედრები პრეზიდენტ პოროშენკოსთან, პრემიერ გროისმანთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

24 ივლისს ვოლკერი პარიზში ნორმანდიული ოთხეულის წარმომადგენლებს შეხვდება. მოლაპარაკებების ძირითადი თემა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იქნება.

# სირია: აღმოსავლეთ გუტაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გამოაცხადეს

დიქტატორ ასადის მომხრეებმა აღმოსავლეთ გუტის (დამასკოს მახლობლად) აღება ვერ შეძლეს. ქალაქი პარტიზანების კონტროლქვეშ დარჩა.



აშშ-ის ზეწოლის შედეგად რუსეთმა ასადს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდა. ასადი იძულებული გახდა, დათანხმებულიყო.

აღმოსავლეთ გუტაში შეტაკებები შეწყდა. ქალაქი კვლავაც პარტიზანების კონტროლქვეშ იმყოფება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## პრინცმა უილიამმა და კეიტ მიდლტონმა კრენდელი გამოაცხვეს



კემბრიჯის ჰერცოგმა უილიამმა და ჰერცოგინია კეტრინმა გერმანიაში კრენდელი გამოაცხვეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

გეიდელბერგში ვიზიტი პრინც უილიამისა და მისი მეუღლისთვის ონკოლოგიური დაავადებების კვლევითი ცენტრის მონახულებით დაიწყო.

შემდეგ სამეფო წყვილმა ქალაქის ცენტრში გაისეირნა და ადგილობრივ ბაზარს ეწვია. იქ მათ ტრადიციული ბრეცელის მომზადება შესთავაზეს.

მცხობელების შეფასებით, ყოფილმა მის მიდლტონმა შედარებით უფრო მეტი ტალანტი გამოავლინა, ვიდრე მისმა მეუღლემ, მაგრამ მათ ერთად შესანიშნავად გაართვეს თავი საქმეს.

## მადამ ტიუსოს მუზეუმი „მეტისმეტად თეთრი“ ბიონსეს გამო გააკრიტიკეს

მადამ ტიუსოს მუზეუმი ნიუ იორკში გააკრიტიკეს ბიონსეს „მეტისმეტად თეთრი“ ცვილის ქანდაკების გამო.



საგამოფენო კომპლექსში ამის პასუხად განაცხადეს, რომ ქანდაკების კანის ნათელი ფერი ექსპონატის განათების გამო ჩანს, ასევე ფოტოაპარატების მასუქების გამო.

როგორც მუზეუმში ხაზგასმით აღნიშნეს, მათი ოსტატები მაქსიმალურად ცდილობენ, ცვილის ფიგურის კანის ფერი ორიგინალის შესატყვისი იყოს.

გარდა ამისა, კრიტიკის ობიექტი აღმოჩნდა ქანდაკება მთლიანობაში: ზოგიერთი ინტერნეტმომხმარებლის აზრით, ცვილის ბიონსე უფრო ბრიტნი სპირსს, ლინდსი ლოჰანს ან შაკირას ჰგავს და არა თავად ბიონსეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ემილი რატაკოვსკი გაშიშვლდა

ამერიკელმა მსახიობმა და მოდელმა ემილი რატაკოვსკიმ მონაწილეობა მიიღო ფოტოსესიაში. გაშიშვლებული მანეკენის ფოტოსურათები სოციალურ ქსელ ინსტაგრამში მოდის ჟურნალ Allure-ს გვერდზე გამოქვეყნდა.



გამოცემისთვის ფოტოსესია ფოტოგრაფმა დენიელ ჯექსონმა აწარმოა. ასევე რატაკოვსკის ფოტოსურათი ჟურნალის აგვისტოს ნომრის გარეკანზე იქნება განთავსებული.

რატაკოვსკიმ კადრები ფოტოსესიიდან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა. ზოგიერთ მათგანზე მანეკენი საცვლების ამარა პოზირებდა. მოდელის გვერდს სოციალურ ქსელში 14 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# მეორე წრე დინამომ და სამტრედიამ მოგებით დაიწყეს

**<u>დინამო (თბ) - კოლხეთი 6:1</u>**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 თოთაძე (7), 2:0 მიქელთაძე (19), 3:0 ჩაკვეტაძე (43), 4:0 მიქელთაძე (53), 5:0 თევზაძე (69), 5:1 ბროვკო (70), 6:1 ქოჩლაძე (87)

**დინამო:** რევიშვილი, თოთაძე, კობოური, სალუქვაძე, გეგეჭკორი, ქარდავა, კუცია (ნინუა 72), ერგემლიძე (თევზაძე 52), ჩაკვეტაძე, შულაია (ქოჩლაძე 85), მიქელთაძე

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, გ.კილასონია, გოგონაია, ნონდი, კაკულია, დაფე, ოტიენო (მაჩარია 57), ჯანელიძე, ჟიშკარიანი, ბახია (ბროვკო 62), ბუხაიძე (დერებჩინსკი 69)

ანგარიში მასპინძლებმა შეხვედრის დებიუტშივე გახსნეს – მე-7 წუთზე ლაშა თოთაძემ საჯარიმო დარტყმა შეასრულა ძლიერად და ზუსტად – 1:0.

სამიოდე წუთში თბილისელებს კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლოთ, გიორგი ჩაკვეტაძის შეტევას მიხეილ ერგემლიძე ძლიერი დარტყმით ასრულებდა, მაგრამ ბურთი ხარიხამ აისხლიტა. სამაგიეროდ მე-19 წუთზე აკაკი შულაიას აქტიურობას, რომელმაც მეტოქის მეკარეს შეუშალა ხელი, ბექა მიქელთაძის ზუსტი თამაში და კოლხთა კარში მეორე გოლი მოჰყვა.

ამის მერეც დინამოს კიდევ ორჯერ შეეძლო გოლის გატანა: პირველ ეპიზოდში ჩაკვეტაძის ტექნიკური პასია აღსანიშნავი, რომელიც მიქელთაძემ ვერ შეირგო. მეორე ჯერზე ისევ მიქელთაძის დარტყმული აცდა კარს. დინამომ პირველ ტაიმში მაინც მოახერხა მესამე გოლის გატანა. 43-ე წუთზე ბექა მიქელთაძემ ზუსტად შენიშნა გიორგი ჩაკვეტაძე, ახალგაზრდა შემტევმა ტექნიკურად ჩამოიცილა მცველი და მეკარეს ახლო კუთხეში გაუტანა.

მეორე ტაიმი დინამომ ასევე აქტიურად დაიწყო და 53-ე წუთზე კოლხეთის კარში მეოთხე გოლიც გავიდა. შეტევა დავით კობოურმა დაახლოებით 50- მეტრიანი პასით წამოიწყო, ბურთი აკაკი შულაიამ მიიღო, საჯარიმოში შეიჭრა და ბექა მიქელთაძეს გადააწოდა, რომელმაც შეხვედრაში დუბლი შეასრულა 4:0.

67-ე წუთზე ისევ ბექა მიქელთაძე და მისი უძლიერესად დარტყმული კოლხეთის კარის ხარიხამ უკუაგდო. ორიოდე წუთში აკაკი შულაიას ზუსტი პასი და გიორგი თევზაძემ ანგარიში 5:0 გახადა.

კოლხეთმა შედეგიანად შეუტია და ერთი ბურთი იგორ ბროვკომ გაქვითა.

85-ე წუთზე ფოთელთა კარი ამ შეხვედრაში მესამედ იხსნა ხარიხამ, მას შემდეგ რაც ძლიერად ნიკა ნინუამ გაისროლა. მომდევნო შეტევაში კი დინამოს რიგებში თავისი



დებიუტი ლაშა ქოჩლაძემ ზუსტი დარტყმით აღნიშნა და საბოლოო ანგარიში 6:1 დააფიქსირა.

**<u>სამტრედია-შუქურა 4:1</u>**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

1:0 ჯიქია (32), 2:0 გოგიტიძე (34სკ), 3:0 გიი (50), 3:1 ართმელაძე(63), 4:1 გიი (80)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, გოგიაშვილი, კასრაძე, ბალდე, მანჯგალაძე, დათუნაიშვილი (ბურკაძე 85), რაჟამაშვილი (მარკოზაშვილი 60), ჯიქია, საბანაძე, გიი (ნინუა 87)

**შუქურა:** სომხიშვილი, პომაზანი, ჩადუნელი, გოგიტიძე, ჩაჩუა, კლიმიაშვილი (გოგილაშვილი 78), ნუნიეში, კახელიშვილი (ღლონტი 64), ანტონიო, გურული (ართმელაძე 56), ჩაგელიშვილი

სამტრედიამ ბურთის კონტროლი პირველივე წუთებიდან შეძლო და რაც ვერ მოახერხა ყარაბახთან, იმის გაკეთება შუქურასთან შეძლო.

ანგარიში 32-ე წუთზე გაიხსნა, დათუნაიშვილმა შესანიშნავი პასით საჯარიმოში მყოფი საბანაძეს მოძებნა, რომლის დარტყმული ბურთი სომხიშვილმა კი მოიგერია, თუმცა შეტევა ჯიქიამ გოლით დაასრულა.

33 წუთზე ბურთი საკუთარ კარში გოგიტიძემ გაიტანა, რომელიც მეკარის სინდისზეა – სომხიშვილს უკან დაბრუნებული ბურთი გაუძვრა, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ აქ გავლენა საფარმაც იქონია.

50-ე წუთზე მანჯგალაძის შესრულებული ჯარიმის შემდეგ ბურთით ისევ სამტრედიელები დარჩნენ და იმერელთა ლეგიონერმა, გიიმ სადებიუტო გოლი გაიტანა. გიიმ მე-80 წუთზე დუბლიც შეასრულა, ერთია, მის გიოლებს შორის ართმელაძემ თავის გუნდს პრესტიჟის გოლი მოუტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 19 | 15 | 1 | 3 | 48-12 | 46 |
| 2.ტორპედო | 18 | 11 | 4 | 3 | 27-12 | 37 |
| 3.სამტრედია | 19 | 11 | 3 | 5 | 29-21 | 36 |
| 4.ლოკომოტივი | 18 | 8 | 3 | 7 | 32-21 | 27 |
| 5.ჩიხურა | 18 | 8 | 2 | 8 | 23-27 | 26 |
| 6.საბურთალო | 18 | 8 | 1 | 9 | 22-25 | 25 |
| 7.დილა | 18 | 5 | 7 | 6 | 21-20 | 22 |
| 8.დინამო (ბთ) | 18 | 5 | 2 | 11 | 14-24 | 17 |
| 9.კოლხეთი | 19 | 4 | 5 | 10 | 18-35 | 17 |
| 10.შუქურა | 19 | 1 | 4 | 14 | 14-51 | 7 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 15 ბურთი; ბაჩანა არაბული (დინამო), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 11-11; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხეთი/დინამო) – 10;

# ირაკლი სიხარულიძე: „გუნდი უფრო წინ დგას, მაგრამ გოლების რაოდენობაც მაინტერესებს“

ეროვნული ლიგის 2 წრის შემდეგ ბომბარდირთა დავას სათავეში ირაკლი სიხარულიძე უდგას, თბილისის ლოკომოტივის 26 წლის თავდამსხმელი, რომელმაც 18 მატჩში 15 გოლი გაიტანა და თავისი გუნდის წარმატებაში სოლიდური წვლილი შეიტანა.

***– ბომბარდირთა სიაში პირველ ადგილზე ხარ, არც ლოკომოტივისთვის არის ურიგო შედეგი მეოთხე პოზიცია.***

– პირველ რიგში, ჩემთვის პრიორიტეტული გუნდის შედეგია. კარგი სტარტი გვქონდა, თუმცა მერე ჩავარდნა დაგვეწყო და ზედიზედ 5 თამაში წავაგეთ. თუმცა მთლიანობაში, პირველ 2 წრეში ამოცანას თავი გავართვით – მიზანი საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა იყო, ჩვენ კი 2 წრე მეოთხე ადგილზე დავასრულეთ. თუმცა სტარტიდან გამომდინარე, მეტის მიღწევაც შეგვეძლო.

***– თუ წარმოიდგენდი, რომ სეზონის პირველი ნახევრის შემდეგ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იქნებოდი?***

– გუნდის წარმატებას უფრო



წინ ვაყენებ, მაგრამ თავდამსხმელი ვარ და გოლების რაოდენობაზეც უნდა ვიფიქრო. შედეგიანი სეზონები წინა წლებშიც მქონია, თუმცა საუკეთესო ბომბარდირი არასდროს ვყოფილვარ. რადგან სეზონი ჩემთვის ასე შედეგიანად მიმდინარეობს, რატომაც არა, ვიბრძოლებ საუკეთესო ბომბარდირობისთვის. ამ ბრძოლაში ჩემი თანაგუნდელებისგან მაქსიმალურ მხარდაჭერას ვგრძნობ, თანაც, ჩემი მეგობრები ეროვნული ლიგის „ფენტეზიში“ აქტიურად არიან ჩართულები, თავიანთი ვირტუალური გუნდების კაპიტნად სიხარულიძე ჰყავთ არჩეული და არ მინდა, იმედები გავუცრუო.

***– საკმაო ხნის განმავლობაში ბომბარდირთა დავაში კონკურენციას გიწევდა თანაგუნდელი მამია გავაშელიშვილი.***

– ერთმანეთთან იოლად გამოვნახეთ საერთო ენა და ვფიქრობ, პროდუქტიული წყვილი შევქმენით. საერთოდ, ყოველთვის მირჩევნია, ჩემმა გუნდმა 2 თავდამსხმელით ითამაშოს, თავს ასე კომფორტულად ვგრძნობ. სამწუხაროდ, მამიას ტრავმის გამო ბოლო მატჩები გაუცდა, მაგრამ მოედანს მალე დაუბრუნდება და ძალიან გამეხარდება, პირად მონაგარს ძველებური ტემპით თუ გაზრდის.

***– პირველი სეზონია, რაც გიორგი დევდარიანის ხელმძღვანელობით თამაშობ.***

– ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი მწვრთნელია, თავისი აზროვნებითა და საქმისადმი მიდგომით. სამწუხაროდ, ადრე მის გუნდში არასდროს ვყოფილვარ. მისგან ფეხბურთელს ბევრის სწავლა შეუძლია. გარდა ამისა, დევდარიანს აქვს გუნდში მეგობრული გარემოს შექმნის უნარი. ლოკომოტივში თამაშობენ როგორც ახალგაზრდა, ასევე გამოცდილი ფეხბურთელები, თუმცა ასაკობრივი სხვაობა არ იგრძნობა, გუნდი ერთ მუშტადაა შეკრული და ძალიან სასიამოვნო ატმოსფეროა. პირადად ჩემთვის მწვრთნელის ნდობა ბევრს ნიშნავს და ეს ძალიან მეხმარება შესაძლებლობების წარმოჩენაში.

***– არის ევროსაგზურის მოპოვება ლოკომოტივის კონკრეტული მიზანი?***

– გადაჭრით არავის უთქვამს, რომ აუცილებლად უნდა ვითამაშოთ ევროტურნირებზე, მაგრამ რაკი სეზონის პირველი ნახევარი საუკეთესო ოთხეულში დავასრულეთ, რატომ არ უნდა ვიფიქროთ ამაზე? ვგრძნობთ, რომ ეს შეგვიძლია.

***– ვლადიმირ ვაისი ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს პერიოდულად შანსს აძლევს. გაქვს იმედი, რომ ერთ დღეს შენც მოხვდები მის რჩეულებში?***

– ეროვნული ნაკრების გაფართოებულ სიაში ერთხელ მოვხვდი, მაგრამ საქმე ამის იქეთ არ წასულა. არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არ მითამაშია, რაზეც გული მწყდება, მაგრამ ალბათ მაშინ სხვები მჯობდნენ. ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა კი ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა და გამონაკლისი არც მე ვარ.

# 20 წლამდე ნაკრები ელიტამდე ხორვატიამ არ მიუშვა

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის მეოთხედფინალში დასანანად წააგო ხორვატიასთან და ელიტაში აღზევება ვეღარ მოახერხა.

ხორვატიის ნაკრები ტურნირის დაწყებამდე ა დივიზიონში გადასვლის ერთ-ერთი უმთავრეს კანდიდატად ითვლებოდა და ჯგუფური ეტაპიც წაუგებლად, ძალიან იოლად გაიარა. საქართველოს ნაკრებთან კი ხორვატები უმეტესწილად აგებდნენ და ბოლოს დიდი გაჭირვებით – 74:71 იმარჯვეს.

საქართველოს ნაკრებს ცოტა რომ გამართლებოდა, ნახევარფინალში გავიდოდა, თუმცა ის უპირატესობა, რასაც ჩვენი გუნდის წევრები მატჩის მიწურულს ფლობდნენ, ვერ შეინარჩუნეს. მაშინაც კი, როცა ბოლო




წუთზე ხორვატები 4 ქულით წინ გავიდნენ, ქართველებს გათანაბრების რეალური შანსი ჰქონდათ, მაგრამ ჩვენი ნაკრების ბომბარდირმა გოგა ბითაძემ სამქულიანი ააცილა. ქართველებს მერეც ჰქონდათ გათანაბრების შანსი, მაგრამ ჩვენმა კალათბურთელებმა ბოლო წამებზე ბურთი ვერ მოიხელთეს და დასანანი მარცხი განიცადეს.

17 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო შედეგი აჩვენა გოგა ბითაძემ, ხოლო ოთხმა ქართველმა – დავით ლომიძემ, ვილი ისიანმა, ლევან ბაბილოძემ და ნიკა დარბაიძემ 12-12 ქულა მიითვალეს. 7 შედეგიანი გადაცემით გამოირჩა დავით აფხაზავა.

ხორვატიასთან წაგების შემდეგ საქართველოს ნაკრები მე-5-8 ადგილებისთვის ბრძოლაში გადაერთო და იქაც მარცხი განიცადა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის, გია კაზანჯიანისა და ტიჰომირ ბუიანის გაწვრთნილმა გუნდმა მორიგი შეხვედრა პოლონეთთან – 70:91 დათმო.

საუკეთესო იყო ლომიძე, რომელმაც 22 ქულა მიითვალა, ხოლო აფხაზავას ანგარიშზე 16 ქულა დაგროვდა.

20 წლამდე ნაკრები მე-7 ადგილისთვის ბელგიას დაუპირისპირდება.

# ლოთარ მათეუსი ხამესის ტრანსფერს არ მიესალმება

მიუნხენის ბაიერნისა და გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ლოთარ მათეუსი ესპანელი ნახევარმცველის ტიაგო ალკანტარას დიდი გულშემატკივარია. მათეუსი თვლის, რომ ფლეიმეიქერის პოზიციაზე ალკანტარა ბავარიელთათვის უფრო დიდი ძალა იქნებოდა, ვიდრე თომას მიულერი და ხამეს როდრიგესი.



**ლოთარ მათეუსი:**

– „ათიანის“ პოზიციაზე ტიაგო ალკანტარას ვამჯობინებდი თომას მიულერსა და ხამეს როდრიგესს. შესაძლოა, როდრიგესი კარლო ანჩელოტის სასურველ შენაძენად გვევლინება, მაგრამ, თუ ტიაგო ისე ითამაშებს, როგორც გასულ სეზონში, მაშინ ფლეიმეიქერის პოზიციას მას ვერ ჩამოართმევს. ევროპულ დიდ გუნდებთან თამაშისას ანჩელოტის მოედნის ცენტრის დარეგულირება დასჭირდება. კრეატიულ ალკანტარასთან ერთად შეუძლიათ არტურო ვიდალი და ხავი მარტინესი ათამაშონ „რვიანისა“ და „ექვსიანის“ პოზიციებზე.

ხამეს როდრიგესი „ბომბა“ ტრანსფერია, რომელიც ული ჰიონესი გულშემატკივრებს შეჰპირდა, იმის მიუხედავად, რომ კოლუმბიელმა ზინედინ ზიდანის შეგირდობის დროს ვერ გაიბრწყინა, რადგან ფრანგი მწვრთნელის სისტემაში უბრალოდ „ათიანის“ ადგილი ვერ მოიძებნა. თუმცა, კარლო ანჩელოტის რეალში მოღვაწეობის დროს, ხამეს როდრიგესის სადებიუტო სეზონში, სადაც კოლუმბიელმა მშვენიერი თამაში აჩვენა, იტალიელმა სპეციალისტმა ფეხბურთელთან საერთო ენა გამონახა და, ლოთარ მათეუსის რჩევების მიუხედავად, მან თავად უკეთ იცის, თუ როგორ და რომელ პოზიციაზე გამოიყენოს ბაიერნის ახალწვეული.

## შედეგები

**22 ივლისი**

**<u>ფეხბურთი</u>**

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ზენიტი-რუბინი ............ 2:1
კრასნოდარი-ტოსნო ............ 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-სტ.გალენი ............ 3:3
იანგ ბოიზი-ბაზელი ............ 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-მატერსბურგი ............ 2:2
ვოლფსბერგერი-ზალცბურგი ............ 0:2
ლინცერი-ადმირა ............ 3:0

**ბელგია. სუპერთასი**

ანდერლეხტი-ვარეგემი ............ 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-პოგონი ............ 1:2
ლეხია-კრაკოვია ............ 0:1
ლეგია-კორონა ............ 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვერესი-ოლექსანდრია ............ 0:0
ჩერნომორეცი-სტალი ............ 0:1
შახტარი-დინამო ............ 0:1

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-კოპენჰაგენი ............ 0:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

მალმიო-იონჩოპინგი ............ 2:0
ჰალმშტადი-სუნდსვალდი ............ 2:2
სირიუსი-ჰაკენი ............ 2:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

მარიეჰამნი-ჰიფკი ............ 1:1
ინტერი-ილვესი ............ 1:1
კუუპიო-ლახტი ............ 2:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

კალეიდოსკოპი

## პარიზში მიტოვებულ სენის სანაპიროს განაახლებენ

პარიზში მდინარე სენის სანაპიროს მიტოვებულ ნაწილს განაახლებენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს. სანაპიროს ზოგიერთი მონაკვეთი სრულიად გადასხვაფერდება.



ტურისტებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შეხვედრების, დასვენებისა და კოვორკინგის ადგილები, სასტუმროები ელით.

დაგეგმილია ილ-დე-ფრანსის რეგიონში 13 სივრცის შეკეთება, მათ შორის რვა უშუალოდ საფრანგეთის დედაქალაქშია. გარდა ამისა, განახლდება სანაპირო მონაკვეთები რუანსა და ჰავრში.

ალექსანდრე III-ს ხიდთან პარიზის ცენტრში „ელექტრონული კაბარე“ გაჩნდება, ხოლო ურკსკის არხზე მდებარე საწყობები ბარად და ხილისა და ბოსტნეულის მოსაყვან ფართობად გადაიქცევა.

პროექტები კერძო დაფინანსებით განხორციელდება და მისი რეალიზაცია შემდგომი რამდენიმე წლის განმავლობაში მოხდება.

## გათხოვილმა ქალმა ქონება ეროტიკული სურათების გაყიდვით დააგროვა

ამერიკის ნევადის შტატის მცხოვრები ქალბატონი საკუთარი ეროტიკული სურათებისა და ვიდეოჩანაწერების გაყიდვით თვეში ხუთი ათას დოლარზე მეტს გამოიმუშავებს.



ორი შვილის დედა, 30 წლის სამერს ვონჰესენი, სურათებსა და ვიდეოებს ვებგვერდ Patreon-ზე ტვირთავს, რომელზეც ინტერნეტმომხმარებლები იქ დაბეჭდილი გამოსახულებების სანახავად ფულს იხდიან.

ხშირად ქალს სურათებსა და ვიდეოებს მეუღლე უღებს. მისი თქმით, ოჯახს დამატებითი შემოსავალი არ სჭირდება და მეუღლე მას სრულიად უზრუნველყოფს. ქალი გადაღებებში საკუთარი სიამოვნებისთვის მონაწილეობს.

ასევე ვონჰესენს სოციალურ ქსელ ინსტაგრამში აქვს საკუთარი გვერდი, რომელსაც 125 ათასამდე ხელმომწერი ჰყავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

### 24 ივლისისათვის



**ვერძი** – აქტიური და შემოქმედებითად დატვირთული დღეა. თქვენი შრომა შედეგს გამოიღებს. უცხო ადამიანების რჩევებს არ ენდოთ. **კურო** – სამსახურში კონფლიქტი გელით. ყველანაირ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ, იყავით მოწესრიგებული და გული არ გაიტეხოთ. **ტყუპები** – თავს ცუდად გრძნობთ. ქრონიკული ავადმყოფობები მწვავდება. სამსახურშიც პრობლემებია მოსალოდნელი, თუმცა სერიოზულ კონფლიქტამდე საქმე არ მივა. **კირჩხიბი** – მთელი დღე ენერგიით ხართ სავსე. ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. ამის მიუხედავად, სიძნელეები მაინც შეგხვდებათ. **ლომი** – დღეს თქვენი საქმიანი აქტივობა სათანადოდ დაფასდება. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **ქალწული** – შემოქმედებითად დატვირთული დღეა. თქვენი აქტიურობა ნანატრ შედეგს გამოიღებს. უცხო ადამიანების რჩევებს არ ენდოთ. **სასწორი** – იზრდება სულიერი, შემოქმედებითი და სექსუალური შესაძლებლობები. გეგმები საფუძვლიანად გეცვლებათ. **ღრიანკალი** – მძიმე დღეა. იყავით თვითკრიტიკული. პირველ რიგში, საკუთარ თავში განდიდების მანია დათრგუნეთ. **მშვილდოსანი** – არაკეთილისმყოფელი დღეა. ელოდეთ პრობლემებს სამსახურში. იოლად ნურავის მიენდობით. **თხის რქა** – მთელი ენერგია საქმეს მოახმარეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში იგრძნობთ თავს სრულფასოვან ადამიანად. ნუ იქნებით სუბიექტური. **მერწყული** – უფროსობასთან კონფლიქტი გელით. შესაძლოა, სამსახურსაც კი დაემშვიდობოთ. აუცილებელია, მოვლენები რეალურად შეაფასოთ. **თევზები** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. შესაძლოა, ძალზე წარმატებულ ადამიანებთან მოგიწიოთ თანამშრომლობა, თუმცა მთელი თქვენი ნიჭი და უნარი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით გამოვლინდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

სამართალი

## თერჯოლა: 6 თვის წინ დაყაჩაღებული ოჯახი დამნაშავეების დასჯას ითხოვს

თერჯოლის რაიონის სოფელ ვარდიგორაში 6 თვის წინ მომხდარი ყაჩაღობის ფაქტში მონაწილე პირები ამ დრომდე დაუსჯელები არიან.

ამის შესახებ დაზარალებული ოჯახი აცხადებს.

დაყაჩაღებული ოჯახი ამბობს, რომ თავდამსხმელთა ვინაობა მათთვისაც და გამოძიებისთვისაც ცნობილია, თუმცა ამ დროისთვის მხოლოდ ერთ-ერთი პირის მამაა დაკავებული.

შეყრილაძეები იხსენებენ, რომ ნიღბიანები ოჯახის 3 წევრს ფიზიკურად გაუსწორდნენ. მათი თქმით, ბოროტმოქმედებმა მოხუცი ქალი სასტიკად აწამეს და სცემეს. ყაჩაღები ძვირფასეულობისა და ფულის მოთხოვნით მერაბ შეყრილაძეს ერთი საათის განმავლობაში აწამებდნენ.



ყაჩაღობას შეესწრო მერაბ შეყრილაძის და, რომელიც თავდამსხმელებმა ასევე სასტიკად სცემეს და სახლიდან სწორედ მისი ძვირფასეულობა გაიტაცეს. თავდამსხმელები ადგილიდან მას შემდეგ მიიმალნენ, რაც დაზარალებულმა გაქცევა მოახერხა.

დაზარალებული ოჯახი მიიჩნევს, რომ გამოძიება შეგნებულად ჭიანურდება და პროცესს ერთ-ერთი თავდამსხმელის ნათესავი აფერხებს.

საქმეს თერჯოლის პოლიცია იძიებს.

## აფხაზეთში მოძრაობა „მუსლიმი ძმების“ წევრი რამაზონ ლაფუროვი დააკავეს

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა ისლამისტური მოძრაობა „მუსლიმი ძმების“ წევრი დააკავა.



აღნიშნულის შესახებ დე ფაქტო სახელმწიფო უშიშროების სამსახური იუწყება.

– აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა სოხუმში ოპერატიული ღონისძიებების განხორციელებისას უზბეკი რამაზონ ლაფუროვი დააკავეს. მისი ჩხრეკისას რუსეთის ფედერაციის მოქალაქის პასპორტი ამოიღეს, რომელიც აქრამ გასანოვი ალახვერდან ოღლის სახელზე იყო გაცემული, – ნათქვამია განცხადებაში.

დე ფაქტო სახელმწიფო უშიშროების სამსახურის განცხადებით, დაკავებულმა აღიარა, რომ ექსტრემისტული ორგანიზაცია „მუსლიმი ძმების“ წევრია.

ის რუსეთის საგამოძიებო ორგანოებს გადასცეს.

## აბასთუმანში ავტომობილი 17 წლის ბიჭს დაეჯახა

აბასთუმანში ქვეითად მოსიარულე 17 წლის ბიჭს ავტომობილი დაეჯახა. არასრულწლოვანი მსუბუქად დაშავდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით 3 წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

კალეიდოსკოპი

## ნაომი ქემპბელი, ვუპი გოლდბერგი და პაფ დედი პირელის კალენდარში მოხვდნენ

სუპერმოდელი ნაომი ქემპბელი, მსახიობი ვუპი გოლდბერგი და მუსიკოსი შონ კომბსი (ასევე ცნობილი, როგორც პაფ დედი, პი დიდი და უბრალოდ დიდი) პირელის ახალი კალენდრის გმირები გახდნენ.



ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პროექტზე სამუშაოდ მიწვეული იყო ბრიტანელი ფოტოგრაფი ტიმ უოკერი.

2018 წლის კალენდრის იდეად იქცა ლუის კეროლის ზღაპარი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“. ახალი ვერსიის ყველა გმირი ფერადკანიანია (პირელის კალენდრის ისტორიაში ასეთი რამ პირველად არ ხდება).

ქემპბელი და კომბსი ჯალათებს განასახიერებენ, ხოლო გოლდბერგი – ჰერცოგინიას. მსახიობი ლიუპიტა ნიონგო „უგონო ჩაისმის“ მონაწილე სონიად გარდაისახა. მოდელი დაკი ალისა გახდება, მსახიობი საშა ლეინი – მარტის კურდღელი.

გარდა ამისა, მოდელი ადვოას აბოა ტრულალას ითამაშებს, მსახიობი რუ პოლი – ყვავის დედოფალს. კალენდარში სხვა ცნობილი სახეებიც მოხვდებიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი



1. ქაღალდის ფულის შეკვრა; 2. თოფის ნაწილი, სროლის დროს მხარზე მისაბჯენი; 3. მოკლელულიანი ქვემეხი; 4. ჭეშმარიტად! 5. ქრისტიანული დღესასწაული; 6 შეტევა, თავდასხმა; 7. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 8. სამეტყველო ორგანო; 9. ხელით გასაწევი კლავიშებიანი საკრავი; 10. ძველებური საომარი იარაღი; 11. ... მორჩილაძე; 12. ქაღალდის ფული; 13. მოკლე ანეკდოტი ანტიკურ რიტორიკაში; 14. თურქეთის ქალაქ ანთაქიის ძველი სახელწოდება; 15. პატარა ფანჯარა; 16. მარწყვი, ჟოლო, მაყვალი; 17. იუპიტერის თანამგზავრი; 18. ზომიერი ტემპი მუსიკაში; 19. იტალიური ავტომარკა; 20. ბერძნული ანბანის ასო; 21. ქართული კერძი; 22. რაიმე დამსახურების აღსანიშნავი საბუთი; 23. მწერალი ივლინ ...; 24. ქალაქი საფრანგეთში; 25. ქართული ტელეარხი; 26. რომანის, მოთხრობის „ჩონჩხი“; 27. სილვესტერ სტალონეს მეტსახელი; 28. ბილიარდის ჯოხი; 29. ქვევრის მსგავსი ჭურჭელი; 30. გაზაფხულის ყვავილი; 31. იუპიტერი ძველქართულად.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დესპანი; 2. ბარი; 3. მეოხი; 4. ორვილე; 6. რუზველტი; 9. ზარაფი; 13. არეშიძე; 14. ფაიზერი; 15. ყაბახი; 17. კანოე; 18. სიონი; 20. ელჩი.

**თარაზულად:** 1. დუბლინი; 5. ტიბრი; 7. შეიკერი; 8. სერვიზი; 10. ბრიზი; 11. ხავსი; 12. ცერული; 16. მაკეტი; 17. კოქსი; 19. ელბა; 21. შაკირა; 22. ვოლანი; 23. ქიმერა; 24. ჩილიმი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შტირია; 2. მარსელი; 3. ჯაფარიძე; 4. ალბინოსი; 8. ფიროსმანი; 9. ლამინარია; 11. ლიზინგი; 12. შუმი; 14. ლემა; 16. დისლალია; 17. მადნეული; 19. ფლეგმა; 21. დიდრო.

**თარაზულად:** 1. საფიჩხია; 6. ბრაშპილი; 7. ფრიკადელი; 10. ღიღინი; 13. რამოსი; 15. ემპირეა; 18. მირაჟი; 20. ტრიოდი; 22. აპერიტივი; 23. სინდრომი; 24. ბრისტოლი.

# ლიზა ბათიაშვილის კონცერტმა როიალ ალბერტ ჰოლში ანშლაგით ჩაიარა

მსოფლიოში აღიარებული ქართველი მევიოლინის ლიზა ბათიაშვილის კონცერტმა როიალ ალბერტ ჰოლში ანშლაგით ჩაიარა. ექვსიათასკაციან დარბაზში მუსიკოსის ფანები მრავლად იყვნენ, რომლებსაც მისთვის მხურვალე აპლოდისმენტები და ხანგრძლივი ოვაციები არ დაუკლიათ.



სპეციალური ვიდეოჩანაწერი ამ კონცერტიდან სოციალურ ქსელში საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ სამხატვრო ხელმძღვანელმა თეონა ჯორბენაძემ გაავრცელა:

– როიალ ალბერტ ჰოლი, 6000 ადგილია და არენაზე რამდენი ათასი იდგა ნოტებით ხელში არ ვიცი, ნამდვილი ფანები! თუ შეიძლება, მიაღწიო სრულყოფილებას, მაშინ ერთ-ერთი მაგალითი ლიზაა... ბგერა, თითოეული ფრაზის შეგრძნება, გააზრება, პლასტიკა და, უბრალოდ, შეუდარებელი სასცენო ხიბლი.

# ნუცა შანშიაშვილი: „თბილისში მტკივა“



ქართველი მომღერალი ნუცა შანშიაშვილი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, რამდენიმე თვეა საქართველოში იმყოფება. როგორც ნუცამ განაცხადა, სამშობლოში ვიზიტით გულნატკენია:

– სამი თვის წინ თბილისში ჩამომიყვანა უდიდესმა სიყვარულმა, ახლა ერთ-ორ კვირაში ვბრუნდები ამერიკაში სრულიად ცარიელი და გაოცებული... ის, რასაც ვუყურე ამ პერიოდში თბილისში, ხალხის უბედურებას, ნერვულ და ფსიქიკურ შეშლილობას დეპრესიის ზღვარზე... ძალიან გული მეტკინა, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა, რაც მე დავინახე, ეს არის სრული უპატივცემულობა ერთმანეთის მიმართ...

ნიუ იორკში მყავს ორი მეგობარი ბიზნესმენი, ორივე ერთმანეთის დაუნდობელი მტერია, მაგრამ მტრობაშიც კი პატივისცემა აქვთ ერთმანეთის მიმართ...

ალბათ მირჩევნია, შორიდან ვემსახურო ჩემს საყვარელ საქართველოს ძალიან მაღალი და ხარისხიანი ხელოვნებით... იქ ისე არ მტკივა, როგორც აქ, ჩემს უსაყვარლეს თბილისში.

# ტაო კლარჯეთში არსებული ქართული ეკლესიებით ბიბისი დაინტერესდა

თურქეთში, ტაო კლარჯეთში არსებული ქართული ეკლესიებით ბიბისი დაინტერესდა და მას ვრცელი სტატია მიუძღვნა.



ჟურნალისტებმა ქეითი ნადვორნიმ და ემა ჰარპერმა ერთობლივად დაწერეს სტატია „თურქეთის მივიწყებული ქართული სამეფო“, სადაც დეტალურად ისაუბრეს ტაო კლარჯეთში არსებულ ქართულ ეკლესიებზე.

– სამხრეთ თურქეთის ტერიტორიაზე, კლდეებში, მწვანე ოაზისში, ტაო კლარჯეთში ნაშენი არაჩვეულებრივი სამონასტრო კომპლექსი, ფეოდალურ საქართველოში ბაგრატიონების ოჯახის საკუთრება იყო. ქართული სულიერი განწყობა და სულისკვეთება აქ დღესაც იგრძნობა, თუმცა ერთ დროს საქართველოს საკუთრება, ქართული ეკლესია-მონასტრები, დღეს თურქული სოფლების გარემოშია მოქცეული. ოშკის მონასტერი წლებია სარესტავრაციოა, უყურადღებოდაა დატოვებული და დროთა განმავლობაში მისი მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება. ქართულ-თურქული მხარე ბოლომდე ვერ შეთანხმდა, როგორ უნდა მოხდეს მისი აღდგენა. მოლაპარაკებები მხარეებს შორის ამ დრომდე გრძელდება. დღემდე არ არსებობს ზუსტი გეგმები, თუ როგორ და ვის მიერ უნდა მოხდეს მათი აღდგენა, რესტავრაცია და კონსერვაცია. ტაო კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების ბედი ამ დრომდე გაურკვეველია, – წერენ ბიბისის ჟურნალისტები.

მათი თქმით, ტაო კლარჯეთში მდებარე ქართულ ტაძრებში არსებული ფრესკები უყურადღებობის გამო დროთა განმავლობაში პირვანდელ სახესა და გამოსახულებას კარგავენ.

# ბუბა კიკაბიძე 79 წლისაა

მომღერალი და მსახიობი ბუბა კიკაბიძე 79 წლისაა.



ხელოვანი ასაკს არ უშინდება და კონცერტებს კვლავაც მართავს როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. მისი სიმღერების მოსმენის მსურველები ბევრნი არიან, მათ შორის რუსეთშიც, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ბუბა კიკაბიძემ რუსეთში ჩასვლასა და იქ სიმღერაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ, აქტიურად მართავს კონცერტებს უკრაინაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში და საქართველოს მეგობარ სახელმწიფოებში.

ალბათ ახლა ბევრისთვის ძნელი დასაჯერებელია, რომ ვახტანგ კიკაბიძე თავისი ხრინწიანი ხმის გამო მომღერლად დაიწუნეს, თუმცა მომღერალმა მაინც თავისი გაიტანა და სხვადასხვა ანსამბლის წევრი გახდა. ყველაზე წარმატებული პერიოდი მის საესტრადო კარიერაში ანსამბლ „ორერაში“ მოღვაწეობაა, რასაც მოჰყვა სოლოკარიერა და ბუბა კიკაბიძე, ჯანმრთელობის პრობლემების მიუხედავად, ახლაც სიამოვნებით მღერის თავისი საყვარელი მსმენელისთვის.

სიმღერის პარალელურად, ბუბა კიკაბიძე აქტიურად დაკავდა კინოთი. გია დანელიას ფილმებმა „არ იდარდო“ და „მიმინომ“ მას არნახული პოპულარობა მოუტანა. წელს „მიმინოს“ 40 წელი შეუსრულდა და, როგორც ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, ფილმის მეორე ნაწილის გადაღებაც არის დაგეგმილი. ამ ფილმის პერსონაჟები ზურაბ წერეთელმა ქანდაკებებად აქცია და ავლაბარში საზეიმოდ დადგა. როგორც თავად იუბილარი აცხადებს, მისთვის ხალხის სიყვარული ყველა ჯილდოზე მეტია.

წელს ბუბა კიკაბიძემ თავისი დაბადების დღე მოკრძალებულად აღნიშნა და 18 აგვისტოს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში კონცერტი დაგეგმა. კონცერტში მასთან ერთად მონაწილეობენ ლიზა ბაგრატიონი, ნანი ბრეგვაძე და ეკა მამალაძე. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 30 ლარია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

**ოთხშაბათი**
**24 ივლისი**

**07.00** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**წინ" წარმატებისკენ**" **10.10, 02.50** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.00, 03.50** დღის მხ/ფ "**აფრიკის დედოფალი**" (კ.ჰეპბერნი) **15.00, 05.10** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.20** მხ/ფ "**შუგარლენდის ექსპრესი**" (გ.ჰოუნი) **01.10** მხ/ფ "**ბრძოლა**" (ჩ.ტატუმი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.55** ქრონიკა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.00** იუმორინა **2017 00.15** მხ/ფ "**შიმშილის თამაშები 3**" **02.15** მხ/ფ "**ჩვენ მეგობრები ვართ**" **04.10** მხ/ფ "**წითელი განთიადი**"

**06.00** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45** სერ. "**კაცი**" **20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **22.00** მხ/ფ "**მონანიება**" სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**"

**08.00** ან/სერ. "ვარსკვლავური ომები -2" **09.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 12**" **11.00** სერ. "**შილდის აგენტები 3**" **13.00** სერ. "**შილდის აგენტები 4**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია 7**" **19.00** სერ. "**ჰანიბალი 2**" **21.00** სერ. "**მაფიოზა 4**" **22.30, 06.05** მხ/ფ

იბერია **08.00** დოკ/ფ "ცხოვრება ტრანსფორმაციაში" VIII ნაწ. **08.30** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** პანორამა **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30** ახალი ამბები **11.30** სერ. "**მეომრები**" ნაპოლეონი I ნაწ. **12.00** მოდი გავიყაროთ **13.00, 04.20** ბიზნესკოდი **15.00** 3-დან 5-მდე **16.25** Hellow თბილისი **18.00, 0.00** ფაბრიკა **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 03.20** პრიორიტეტი **21.30** დე ფაქტო **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **1.00** მხ/ფ "**მუმია**" **2.30** მოდი გავიყაროთ

**06.15** ღვთის სახლი "ანუხვი" **06.35** პატერიკი-ღვთის განგებულება ადამიანის ცხოვრებაზე **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** საკვირაო სახარების განმარტება **10.35** დ/ფ "ველური ბუნება-ლომების სიახლოვეს" **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ჩემი მეგობარი ნოდარი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "გობელენი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი" **15.50** სპექტაკლი "**აქ მატარებლებს თეთრად ათოვს**" **17.00** კლასიკა **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** სჯანი "ქრისტიანული დღესასწაულების პაგანიზაცია" **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მიწათმოქმედი "ბოლოკია" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.25** კვირიაკის სიუჟეტი "ილორი და ბედია" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** პატერიკივინ არის სამყაროს შემქმნელი **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა "სქურის ფერიცვალების ეკლესია" **22.15** შარავანდედი-ექვთიმე თაყაიშვილი **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ივერიის ეკლესია "ძეგლი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა" **00.30** ეპოქა და ადამიანები "დავით სარაჯიშვილი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

## კალეიდოსკოპი

### ხულიო იგლესიასი მაიამიში მიწის ნაკვეთებს ყიდის

ესპანელი მომღერალი ხულიო იგლესიასი მაიამის სანაპიროსთან მდებარე ოთხ ცარიელ მიწის ნაკვეთს 150 მილიონ დოლარად ყიდის. ამ ინფორმაციას მაიამი ჰერალდი ავრცელებს.



ეს ამ მომენტისთვის ნებისმიერი საცხოვრებელი უძრავი ქონების ობიექტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ფასია მაიამი-დეიდის ოლქში. ნაკვეთების საერთო ფართი რვა აკრს (3,2 ჰექტარი) შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონიდან წასვლას იგლესიასი არ აპირებს. მას კვლავაც აქვს სახლი მაიამიში. როგორც თავად მსახიობი აცხადებს, ის იქ წელიწადში მხოლოდ ორ თვეს ატარებს.

მომღერალი მიწის ნაკვეთებს იმიტომ ყიდის, რომ საკუთარი განზრახვის, იქ თავისი შვილებისთვის სახლები აეშენებინა, განხორციელება ვერ შეძლო.

ჩემი შვილები გაიზარდნენ და მათ სამყაროს სხვადასხვა წერტილში სურთ ცხოვრება. ასე რომ, გადავწყვიტე, ეს უმშვენიერესი ნაკვეთები გავყიდო, – განაცხადა იგლესიასმა.

### სალვადორ დალის ულვაშები არ შეცვლილა

ესპანელი მხატვრის სალვადორ დალის ულვაშები არ შეცვლილა. ეს ინფორმაცია ერთ-ერთმა ესპანურმა გამოცემამ ექსპერტ ნარცის ბარ-



დალეტაზე დაყრდნობით გაავრცელა, რომელიც მხატვრის მამობის დასადგენ ეგსგუმაციაში მონაწილეობდა და რომელმაც დალის სხეულს ბალზამირება 1989 წელს გაუკეთა.

ბარდალეტას თქმით, დალის სახელგანთქმული ულვაშები შესანიშნავად არის შენახული.

– ეს, უბრალოდ, სასწაულია, – აღნიშნა ექსპერტმა.

თავის მხრივ, ლუის პენიუელასმა ფონდიდან „გალა – სალვადორ დალი“ განაცხადა, რომ ანალიზისთვის მხატვრის ორი დიდი ძვლის, ფრჩხილისა და თმის ნაწილები აიღეს. ტესტის ჩატარების შემდეგ მათ ადგილზე დააბრუნებენ.

### ნიუ იორკში მამაკაცებმა მაჩეტეთი და ნაგვის ურნით იჩხუბეს



ნიუ იორკში ორმა მამაკაცმა ერთმანეთთან მაჩეტეთი და ნაგვის ურნით შეიარაღებულმა იჩხუბა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ტვიტერში მიკრობლოგში ეი-ბი-სი ნიუსმა გამოაქვეყნა. ორ დღეში ვიდეორგოლმა დაახლოებით 460 მოწონება მიიღო.

როგორც ვიდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარშია აღნიშნული, კონფლიქტი ზემო ვესტ-საიდის კვარტალში მოხდა. ჩხუბის მონაწილე მამაკაცების ვინაობა და კონფლიქტის მიზეზი უცნობია.

### პარიზში, სენის სანაპიროზე, „მკვდარი ვეშაპის“ ძეგლი დადგეს

პარიზში, მდინარე სენის ნაპირზე, დადგეს ვეშაპის 18 მეტრის სიგრძის ფიგურა. ეს აქცია ფესტივალ „პარიზის ზაფხულს“ მიეძღვნა, რომელიც 5 აგვისტომდე გაგრძელდება.

იმისთვის, რომ გამვლელები დაერწმუნებინათ, რომ ვეშაპი მართლაც გამოირიყა ნაპირზე, გათამაშდა სცენა მკვლევრების როლის შემსრულებელი მსახიობების მონაწილეობით, რომლებიც ცხოველს „შეისწავლიდნენ“. სიტუაციისთვის უფრო რეალური სახის მისაცემად მოქმედების ადგილი შემოსაზღვრეს.



დადგმა პლასტიკატის ვეშაპით ბელგიური ორგანიზაციის Captain Boomer-ის აქტივისტების ნახელავია. მათ მსგავსი შოუ ადრეც მოუწყვიათ. აქციის მიზანია საზოგადოების ყურადღების მიპყრობა იმ ფაქტისთვის, რომ „ჩვენი ეკოსისტემა დანგრეულია“.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

ასოციაცია მესხეთის პრეზიდიუმი მისი ხელმძღვანელის ამირან მექვაბიშვილის სახით თანაუგრძნობს ასოციაციის ვიცეპრეზიდენტს, დარგობრივი აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ლიანა ხმალაძეს მძახლის

**ელგუჯა ახალაძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**24 ივლისისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.3983

ევრო — 2.7923

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1183

100 რუსული რუბლი — 4.0713

**ამინდის პროგნოზი 24 ივლისისთვის**





**20 ივლისიდან**

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## ელისაბედ II-ის საჩუქრებსა და პრინცესა დიანას ნივთებს ლონდონში გამოფენენ

დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის საჩუქრებსა და პრინცესა დიანას ნივთებს ლონდონში გამოფენენ. ამ ინფორმაციას სკაი ნიუსი ავრცელებს.



ექსპონატების ხილვა 1 ოქტომბრამდე იქნება შესაძლებელი, როდესაც ბუკინჰემის სასახლის ნაწილი დამთვალიერებლებისთვის იხსნება.

გამოფენაზე მისი უდიდებულესობისთვის სხვადასხვა დროს ნაჩუქარი 200-ზე მეტი ნივთი იქნება წარმოდგენილი. ისინი დედოფალს გადაეცემოდა მსოფლიო ლიდერების დიდ ბრიტანეთში ვიზიტის ან ელისაბედ II-ის საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს.

რაც შეეხება პრინცესა დიანას ნივთებს, მრავალი ექსპონატი მისმა შვილებმა, პრინცებმა უილიამმა და ჰარიმ შეარჩიეს. მათ ასეთი სახით სურდათ გაეზიარებინათ საკუთარი მოგონებები დედაზე და წარმოედგინათ მისი პასუხისმგებლობა საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

მაგალითად, დამთვალიერებელს შეეძლება ნახოს მაგიდა, რომელთანაც პრინცესა კენსინგტონის სასახლეში მუშაობდა.

## პრინც ჯორჯის ახალი ფოტოსურათი გამოქვეყნდა



კენსინგტონის სასახლემ კემბრიჯის ჰერცოგის უილიამისა და ჰერცოგინია კეტრინის შვილის ახალი ოფიციალური ფოტოსურათი გამოაქვეყნა. ამ ინფორმაციას სასახლის პრესსამსახური ავრცელებს.

— ჰერცოგი და ჰერცოგინია მოხარულნი არიან, წარმოადგინონ პრინც ჯორჯის ახალი ოფიციალური პორტრეტი მისი მეოთხე დაბადების დღის პატივსაცემად, — ნათქვამია შეტყობინებაში.

## კუზიანი ვეშაპის ნახტომი ვიდეოზე გადაიღეს

40-ტონიანი კუზიანი ვეშაპის წყლიდან ამოხტომის მომენტი ვიდეოზე იქნა გადაღებული. ვიდეოჩანაწერი ივლისის



დასაწყისში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან არის გაკეთებული. ვიდეორგოლის ავტორია მყვინთავი კრეიგ კაპეჰარტი.

— სავარაუდოდ, აქამდე არასოდეს ყოფილა გადაღებული მოზრდილი კუზიანი ვეშაპის წყლიდან მთლიანად ამოხტომის მომენტი. ეს მეტად იშვიათი მოვლენაა, — აღნიშნულია ვიდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარში, რომელიც იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, წავიკითხე, რომ თურმე ბრიტანელ მეცნიერებს ალკოჰოლზე ცდები ჩაუტარებიათ და დაუდგენიათ, რომ არაყი ყინულით თირკმლებს ვნებს, რომი ყინულით ღვიძლს ვნებს, ჯინი ყინულით გულისთვის არის მავნებელი, ვისკი ყინულით ტვინს აზიანებს.

— ხედავ, ქალო, რა მავნებელი ყოფილა ეს ყინული?!

●●●

სამედიცინო გამწვევი კომისია. თვალის ექიმი წვევამდელს ამოწმებს:

— ამ ასოებს ხედავთ?

— ვერ ვხედავ.

— ახლოს მოდით. ახლა?

— ვერ ვხედავ.

— კიდევ უფრო ახლოს მოდით. ახლა ხედავთ?

— ვერც ახლა ვხედავ.

— კიდევ უფრო ახლოს, მჭიდროდ მოდით. ახლა?

— ახლა თითქოსდა ვხედავ.

— ასე, მანძილი 50 სანტიმეტრი. ასევე გამოდგება ხელჩართული ბრძოლისთვის.

●●●

ლუდის ბარში აღშფოთებული კლიენტის ხმა ისმის:

— კათხას რატომ არ ავსებთ?!

ბარმენი რიგში მდგომებს მიმართავს:

— გესმით? ამ შობელძაღლს უნდა, რომ თქვენთვის ლუდი აღარ დარჩეს!

●●●

რესტორანში ქალი ოფიციანტს ეკითხება:

— რომელ საჭმელს მირჩევდით?

— ნიახურსა და სტაფილოს.

— შენ თვითონ ხარ მსუქანი!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

— რაში მდგომარეობს თქვენი წარმატების საიდუმლო?

— ყოველ დილით ჰოროსკოპსა და ამინდის პროგნოზს ვეცნობი.

— და მერე?

— მის საწინააღმდეგოდ ვიქცევი!

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

— ძვირფასო, აირჩიე: რომელი გინდა, რომ შენთვის დაუკრან, მენდელსონი თუ შოპენი!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.






**13 ივლისიდან**

ლაშა იმედაშვილი

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

ქართული დეტექტივი ტომი 13

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## ჯონი დეპმა ქალიშვილს „კარდაშიანების ოჯახის" დივანი 7 ათასად უყიდა



ჰოლივუდის მსახიობმა ჯონი დეპმა თავის ქალიშვილს ლილი-როუზის უყიდა დივანი რეალიტი-შოუდან „კარდაშიანების ოჯახი" და მასში 7 ათასი დოლარი გადაიხადა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა მსახიობის ყოფილ მენეჯერებზე დაყრდნობით ავრცელებს.

კომპანია TMG-ს თანამშრომლები, რომლებიც დეპთან მუშაობდნენ, სასამართლოს თავიანთი ყოფილი კლიენტის ხარჯების თაობაზე ინფორმაციას აცნობენ.

თებერვალში დეპმა კომპანიის წინააღმდეგ 25 მილიონ დოლარზე შეიტანა სარჩელი. თავის მხრივ, კომპანიამ სასამართლოს საპასუხო სარჩელით მიმართა, რომელშიც განაცხადა, რომ მსახიობი „ულტრაექსტრავაგანტურად" იქცეოდა, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა.

დეპის სხვადასხვა სავარაუდო შენაძენს შორის არის 17 ათასი დოლარის პრადას პროდუქცია, ტომ ფორდის 7 ათასი დოლარის კოსტიუმები და კარვები. ასევე საუბარია დეპის მიერ 1 მილიონი დოლარის ხარჯებზე ბაჰამის კუნძულებზე.

## დი კაპრიომ ეკოლოგიური მოსაზრებით კერძო თვითმფრინავზე უარი თქვა



ამერიკელმა მსახიობმა ლეონარდო დი კაპრიომ უარი თქვა, ესარგებლა კერძო თვითმფრინავით სენ-ტროპეში გასამგზავრებლად და ეს ეკოლოგიური თვალსაზრისით გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ სენ-ტროპეში გაიმართება საქველმოქმედო გალასაღამო და აუქციონი, რომლის ორგანიზატორია დი კაპრიოს ფონდი.

გავრცელებული ინფორმაციით, მსახიობმა გადაწყვიტა, კურორტზე ჩასულიყო არა კერძო თვითმფრინავით, როგორც ეს ადრე არაერთხელ გაუკეთებია, არამედ კომერციული რეისით.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ღონისძიების სტუმრებს უხორცო მენიუს შესთავაზებენ. მას ადგილობრივი თევზისა და ბოსტნეულის კერძები ჩაანაცვლებს.

საქველმოქმედო ვაჭრობაზე შესაძლებელი იქნება დემიენ ჰერსტის, ურს ფიშერის, რიჩარდ პრინსის ნამუშევრების შეძენა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ქაშაყისებრთა ოჯახის თევზი; 3. გუნდის ხელმძღვანელი ძველბერძნულ ტრაგედიაში; 8. დიდი, კაშკაშა მეტეორი; 10. იაპონური ავტომობილი; 11. ფეხის ფეხში გამოდება ჭიდაობაში; 12. გულის მოქმედების ფაზა – შეკუმშვა; 14. მოქალაქეობის ჩამორთმევა ძველ საბერძნეთში; 15. საქონლის პერიოდული ჭარბწარმოების შედეგი; 16. მშვილდით სატყორცნი ჯოხი; 19. მკითხავი; 20. დასავლეთ ევროპის უდიდესი საკურორტო ზონა; 21. თმის სუროგატი.

**შვეულად:** 1. ზედა შვერილი გამოქვაბულში; 2. ქართველთა დასახლება საფრანგეთში; 3. ლამპარი (ძვ.); 4. ამერიკული ავტომარკა; 5. მცენარეთა თესლის გავრცელება ცხოველების მიერ; 6. იტალიური ფიჭვი; 7. ნამუსი; 9. უდაბნოს მშრალი, ცხელი ქარი; 13. ზღვაში შეჭრილი ნაგებობა გემების მისადგომად; 17. კავკასიის მთიელთა სოფელი; 18. თევზის წვნიანი კერძი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*